შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი
სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

საერთაშორისო კომპანიაში ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები და ხერხები

სტუდენტი: ნათია ღვინიანიძე
ხელმძღვანელი: პროფესორი კობა ჩაგელიშვილი

თბილისი
2020

სარჩევი

ანოტაცია 3
Annotation 4
შესავალი 5
თავი I. ეკონომიკური გლობალიზაციის არსი, მნიშვნელობა და ძირითადი მიმართულებები. 7
1.1. გლობალიზაციის არსი და მნიშვნელობა 7
1.2. საბაზრო და წარმოების გლობალიზაცია 11
თავი II. გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო კომპანიის ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელობა 14
2.1. გლობალური კორუფცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკასა და ბიზნესში ... 14
2.2. ეროვნული - ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ერთიანი სისტემა 23
თავი III. საერთაშორისო კომპანიაში ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები და ხერხები 36
3.1. ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები 36
3.2 ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მენეჯმენტი 46
დასკვნა 52
გამოყენებული ლიტერატურა: 56

ანოტაცია

გლობალიზაციის პროცესი აჩქარებს ეკონომიკურ ცვლილებებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, აქედან გამომდინარე ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამერდოვე მსოფლიოში.

ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველოფის თეორია წარმოადგენს საკმაოდ ახალ მიმდინარეობას. ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა იყოს ერთდოულად მდგრადი და ელასტიური.

პირველ თავში საუბარია გლობალიზაციის არსსა და მის მნიშვნელობაზე, ქვეყნებს

შორის ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლისთვის. ასევე საუბარია საბაზრო და წარმოების გლობალიზაციაზე, როგორ არის შესაძლებელი კომპანიებმა იმოქმედონ გლობალურ ბაზარზე და მიიღონ მოგება.

მეორე თავში განხილულია გლობალიზაციის პიროიბებში ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორია. განხილულია საერთაშორისო ბიზნესის ერთ-ერთი ძლიერი მუქარა კორუფცია და მისი შედეგები თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკასა და ბიზნესში, ასევე განხილულია სახელმწიფოს როლი ერთიან ეროვნულ უსაფრთხოების სისტემაში.

მესამე თავში საუბარია ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებებზე. განხილულია ის გარემოებები რაც გავლენას ახდენს ბიზნესის უსაფრთხოებაზე. კვლევის მიზანია ბიზნესის უსაფრთხოების მეთოდების და ხერხების გაცნობა და მათი შესრულების ხარისხის დადგენა, ანუ რამდენადაა დაცული ამა თუ იმ კომპანიაში თუ საერთაშორისო ორგანიაზიაში უსაფრთხოების მეთოდები და ხერხები.

Annotation

The process of globalization accelerates economic change, which in turn promotes business development, thus ensuring business security becomes increasingly important in the modern world. The theory of business security is quite new. Business security must be both sustainable and flexible.

The first chapter discusses the essence of globalization and its importance to countries between economic development and advancement. There is also talk of market and how globalization of production can affect Companies global market and earn profits.

The second chapter discusses the theory of business security in the globalization pyramids. It discusses one of the strongest threats of international business corruption and its implications for the modern world economy and business, as well as the role of the state in a unified national security system.

The third chapter discusses the key areas of business security. The circumstances that affect business security are discussed. The purpose of the study is to understand the methods and methods of business security and to determine the quality of their performance, that is, to what extent the security methods and methods are maintained in any company or international organization.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა დღითი დღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება. გლობალიზაციის პროცესი აჩქარებს ეკონომიკურ ცვლილებებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას. საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება დამოკიდებულია არა მხოლოდ სახელმწიფოს როლზე ბიზნესის რეგულირებაში, არამედ ქვეყანაში არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობის უზრუნველყოფაში, რაც თავისთავად გულისხმობს ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ფორმირება და ამ პროცესის ხელშეწყობა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

საკვლევი თემის აქტუალურობა: მოგეხსენებათ, რომ ბიზნესი მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა თანამედროვე მსოფლიოში, მისი უსაფრთხოება კი ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბიზნესის როლის ზრდა მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას და მოთხოვნადობას, შესაბამისად მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სულ უფრო და უფრო აქტუალური თემა ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, კომპანიებისთვის და სახემწიფოსთვის.

ბიზნეს ობიექტის უსაფრთხოება ნიშნავს მის დაცვას გარე და შიდა საშიშროებისაგან. უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა გულისხმობს, სამართლებრივი, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, სპეციალურ-ტექნიკური, რეჟიმული ღონისძიებების კომპლექსს, მიმართულს ობიექტის გარე და შიდა საფრთხეებისაგან დასაცავად.

თემის აქტუალურობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ორგანიზაციები, სულ უფრო და უფრო მეტ ფულს ხარჯავენ თავიანთი კომპანიის უსაფრთხოებისთვის. მაგალითად, ინფორმაციული უსაფრთხოება, რომელიც უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება, ყველაზე მაღალბიუჯეტიანი განყოფილებაა მსხვილ კომპანიებში და ორგანიზაციებში.

მნიშნელოვანია ასევე ტექნიკური უსაფრთოების დაუცველობით გამოწვეული ზიანი, რომელიც საქართველოს და სხვა ბევრი ქვეყნის პრობლემად რჩება, რომლებმაც არაერთი ადამიანების სიცოცხლე შეიწირა.

ნაშრომის კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები: კვლევის მიზანია ბიზნესის უსაფრთხოების მეთოდების და ხერხების გაცნობა, მთავარ ამოცანას კი წაროადგენს, დავადგინოთ რამდენადაა დაცული ბიზნესის უსაფრთხოება მსხვილ კომპანიებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის საქართველოშიც.

კვლევის მეთოდები: ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები. კვლევაში გამოყენებულია სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების, თავმოყრისა და დაჯგუფების მეთოდები.

ნაშრომის დამუშავების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ლიტერატურა, ინტერნეტ-ტექნოლოგიები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა დაწესებულებათა მიერ გამოქვეყნებული მასალა.

თავი I. ეკონომიკური გლობალიზაციის არსი, მნიშვნელობა და ძირითადი მიმართულებები.

1.1. გლობალიზაციის არსი და მნიშვნელობა

გლობალიზაცია ფრაგმენტაციის საწინააღმდეგო ტერმინად მოგვევლინა XX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც პირველად ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევილმა იგი ცალკეული ბაზრების შესწავლის პროცესის ასახსნელად გამოიყენა. ამრიგად, თავდაპირველად ის წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინია, მაგრამ სულ რამდენიმე წელიწადში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. 1990 წელს ლონდონში გამოცემულ კრებულში - „გლობალიზაცია, შემეცნება და საზოგადოება“ - ეს ტერმინი ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა მ. ელბროუმ მსოფლიო ქვეყნებისა და ხალხების სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის ერთიანობის გამოსახატავად.

გლობალიზაციის, როგორც ტერმინის უამრავი განმარტებაა დამკვიდრებული. ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალური ურთიერთობების ისეთი ინტერსიფიკაცია, რომელიც დაშორებულ ადგილებს ისეთნაირად აკავშირებს, როდესაც ადგილობრივი ყალიბდება ათასობით მილის იქით მომხდარი მოვლენების საფუძველზე და პირიქით. ეს არის საგარეო ვაჭრობის, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, მოკლევადიანი კაპიტალის ნაკადების, სამუშაო ძალის და საერთოდ მოსახლეობის გადაადგილების, ასევე ტექნოლოგიების, საერთაშორისო გაცვლის საფუძველზე მსოფლიო სისტემაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესი.

მე-20 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, ის დაკავშირებულია გლობალიზაციასთან და გულისხმობს ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, რომელიც ეფუძნება ღია, საბაზრო ეკონომიკისა და პოლიტიკური დემოკრატიის პრინციპებს. ამასთან, თანამედროვე გლობალიზაციას ჰყავს წინამორბედი, რომელმაც დაახლოებით ასი წლის წინ დაკარგა თავისი, როგორც წამყვანის როლი, ეს არის პირველი სამრეწველო რევოლუცია. თანამედროვე ტექნიკური რევოლუციისაგან განსხვავებით, ამ პირველი გლობალიზაციის წამყვან ძალას ტექნოლოგია წარმოადგენდა. ამ ეპოქაში ტექნოლოგია აფართოებდა შრომის საერთაშორისო დანაწილების საზღვრებს, პოლიტიკა კი უბიძგებდა სახელმწიფოებს პროტექციონიზმის, იმპერიალიზმისა და

მილიტარიზმისაკენ, რისი ტრაგიკული შედეგიც აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომი, რომლის ეკონომიკური შედეგები: ინფლაცია, ეკონომიკური დაცემა, უმუშევრობა მიუთითებდა ანტილიბერალური, ტოტალიტარული დოქტრინის აღდგენის აუცილებლობაზე, ხოლო მოგვიანებითდიდმა დეპრესიამ კიდევ უფრო გააღმავა ეროვნული ბაზრების დაცვის პროცესი, რამაც საბოლოოდ ლახვარი ჩასცა ლიბერალური ეკონომიკურ პოლიტიკას. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ , აშშ-მა, იაპონიამ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა მოახდინეს ლიბერალური ეკონომიკური წესრიგის რესტავრაცია. კომუნისტური ქვეყნები კი კვლავინდებურად ატარებდნენ ავტოკრატიისა და იზოლაციონიზმის პოლიტიკას და მხოლოდ საბჭოთა იმპერიის დაშლის, ჩინეთის ეკონომიკის გახსნის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ ბაზრების ლიბერალიზაციის შემდეგ, შესაძლებელი გახდა გლობალიზაციის ხელმეორედ დაბადება.

ამდენად, გლობალიზაცია არის არა ტექნოლოგიური იმპერატივი ან მხოლოდ ეკონომიკური მოვლენა, არამედ ისტორიული პერსპექტივის კუთხით ის განიხილება, როგორც პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი. უფრო ფართო თვალსაზრისით გლობალიზაცია - ეს არის ცენტრალიზებული დაგეგმვისაგან განდგომის ერთ-ერთი შედეგი, ბრძოლის პროცესი ა. სმიტის „უხილავი ხელსა'' და ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის „მკვდარ ხელს'' შორის.

გლობალიზაციის პირობებში, ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთშეღწევადობის ზრდის შედეგად სახელმწიფო საზღვარი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, გარკვეულწილად კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც ისტორიულ-სამართლებრივი კატეგორია ის კი არ ქრება, არამედ უფრო ლიბერალური ხდება წაროების სხვადასხვა ფაქტორის გადაადგილების თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი არ ნიშნავს სახელმწიფო საზღვრის, როგორც პოლიტიკურ - გეოგრაფიული კატეგორიის გაქრობას.

გლობალიზაციის პროცესის შედეგად ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ზრდის საფუძველს წარმოებისა და კაპიტალის მოძრაობის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცის მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთგანპირობებული, მაგრამ არა ერთი და იგივე პროცესებია. ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს

ეროვნული ეკონომიკის შიგნით მიმდინარე პროცესის საზღვარ გარეთ გასვლას, მსოფლიო ეკონომიკის რამდენიმე სუბიექტის გაერთიანებას საერთო ამოცანების, მიზნების, საქმიანობის ყველა, ან თითქმის ყველა წევრის მონაწილეობას ამ პროცესში. გლობალიზაცია კი გულისხმობს საქმიანობის წარმართვის უშუალოდ ქვეყნების ჯგუფის ან მსოფლიო დონეზე.

გლობალიზაცია, როგორც ერთიანი სისტემა , შეიძლება დაიყოს რამოდენიმე სახედ: ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური ანუ ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია, პოლიტიკური, ფინანსური ანუ ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია, პოლიტიკური, ინფორმაციული, ეკოლოგიური პრობლემების, დამნაშავეობის, ტერორიზმის და მის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალიზაცია. არსებობს განსხვავება გლობალიზაციის მოცემული სახეების განვითარების ტემპებში, რაც ამ პროცესს სირთულეს მატებს. გლობალიზაციის მრავალ სახეობას შორის ყველაზე სწრაფი ტემპით ვითარდება ფინანსური გლობალიზაცია, რომლის ობიექტურ საფუძველს წარმოების და კაპიტალის მოძრაობის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ფინანსური გლობალიზაცია არის გლობალიზაციის დანარჩენი სახეების საფუძველი, რაც ხაზს უსვამს გეოეკონომიკის პრიმატს, გეოპოლიტიკასთან და გეოსტრატეგიასთან შედარებით, რაც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკის მთავარი მახასიათებელი თავისებურება გახდა. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ პოლიტიკას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა ეკონომიკაზე, ბოლო წლებში დაქვემდებარებული, უფრო სწორად ადაპტირებული როლი დარჩა, რომელიც უკვე არ განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარებას, არამედ ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკურ ურთიერთობებს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ კურსს. ეს დიდ უპირატესობას ანიჭებს მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.

გლობალიზაციის პირობებში იზრდება ქვეყნებს შორის ურთიერთ-დამოკიდებულება, მაგრამ ეს ტენდენცია ნაწილობრივ ცალმხრივია. განვითარებადი ქვეყნები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი განვითარებულზე, ვიდრე პირიქით. განვითარებული ქვეყნები იმდენად არიან დაინტერესებული განვითარებად ქვეყნებში არსებული მდგომარეობით, რამდენადაც ეს ეხება მათი გავლენის სფეროს გაფართოებას, ან ემუქრება ეროვნულ უშიშროებას და ეროვნულ ინტერესებს.

გლობალიზაციის პროცესი არის ადაპტაციის პროცესი განვითარებადი, ზოგიერთი განვითარებული თუ გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისათვის, რადგან არსებულ სიტუაციაში ეკონომიკური ავტარკია უფრო საზიანოა, ვიდრე სრულიად ღია ეკონომიკა.

გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების და მისი შემდგომი განვითარების საფუძველს საბაზრო და ღია ეკონომიკა წარმოადგენს. საბაზრო ეკონომიკას არ ძალუძს სოციალურად ორიენტირებული გლობალური სისტემის ჩამოყალიბება, რადგანაც ეკონომიკის განვითარების საბაზრო მოდელი დაფუძნებულია მოთხოვნისა და მიწოდების კონცეფციაზე, რომელიც შორსაა სოციალური სამართლიანობისაგან. სოციალურობას საბაზრო ეკონომიკა, როგორც შერეული ეკონომიკური სისტემის ბირთვი, იძენს სახელმწიფოებრივი რეგულირების მეშვეობით ამდენად, გლობალური ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის გაზრდისათვის, აუცილებელია, ზეეროვნულ დონეზე, მოდერნიზირებული საეთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით მოხდეს სტიქიური საბაზრო ურთიერთობების რეგულირება.

გლობალიზაციის პროცესის საფუძველს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კარდინალური ლიბერალიზაცია წარმოადგენს, რომელიც უმთავრესად მე - 2 მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების , მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის და რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების ჩარჩოებში. გლობალიზაციის ტენდენცია დაფუძნებულია ღია ეკონომიკის კონცეფციაზე. ღია ეკონომიკას მიაკუთნებენ იმ ქვეყნების ეკონომიკებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთელ სპექტრში: საერთოშორისო ვაჭრობა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, სავალუტო - საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია, სამეცნიერო - ტექნიკური ურთიერთობები და სხვა. ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციის შედეგად იზრდება ეროვნული ეკონომიკების გახსნილობის ხარისხი.

1.2. საბაზრო და წარმოების გლობალიზაცია

საბაზრო გლობალიზაცია ემყარება ისტორიულად მრავალფეროვანი და განცალკევებული ეროვნული ბაზრების შერწყმის ერთ უზარმაზარ გლობალურ საბაზრო სისტემაში. ქვეყნის ეროვნულ საზღვრებს მიღმა ვაჭრობის ბარიერების მოხსნამ უფრო გაამარტივა საერთაშორისო ვაჭრობის პროცესი. რამდენიმე ხნის განმავლობაში სადაო საკითხი იყო ის, რომ მომხმარებლის გემოვნება და არჩევანი სხვადასხვა ერებში მჟღავნდება თუ არა რაღაც ზოგადი გლობალური ნორმის დონეზე, დღეისათვის უკვე ცხადია, რომ ისინი ქმნიან ერთიან გლობალურ ბაზარს. ისეთი სამომხმარებლო პროდუქტები როგორიცაა „სითიქორფის“ საკრედიტო ბარათები, „კოკა - კოლას“ გამაგრილებელი სასმელები, „სონი ფლეისთეიშენის“ ვიდეოთამაშები, „მაკდონალდსის“ ჰამბურგერები და „სტარბაქსის“ ყავა, სწორედ ამ ტენდენციის ტიპური მაგალითებია. მთელი მსოფლიოსათვის სტანდარტული პროდუქციის შეთავაზებით ისინი გლობალურ ბაზარს ქმნიან.

აუცილებელი არ არის, კომპანია იყოს გიგანტი იმისთვის, რომ იმოქმედოს გლობალურ ბაზარზე და მიიღოს მოგება. ამის ნათელი მაგალითებია, აშშ-ში იმ ფირმების დაახლოებით 89%, რომლებიც ექსპორტს ახორციელებდნენ, ეწეოდნენ მცირე ბიზნესს.[1] მათ დასაქმებული ჰყავდათ 100 მუშაკზე ნაკლები. ამ ფირმების წილი შეერთებული შტატების მთლიან ექსპორტში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მყარად იზრდება.

გლობალური ერთგვაროვნების მიუხედავად, მნიშვნელოვანია იმის განჭვრეტა, რომეროვნული ბაზარი ადგილს უთმობს გლობალურ ბაზარს. მათი მრავალი ნიშნით მსგავსების მიუხედავად, ეროვნულ ბაზრებს შორის ჯერ კიდევ არსებობს საკმაოდ ნიშანდობრივი განსხვავებები. ეს აისახება მომხმარებელთა გემოვნებასა და არჩევანის თავისებურებებში, სადისტრიბუციო ქსელების სიგრძეში, ფასების სისტემაში, ბიზნეს გარემოსა და ლეგალური რეგულაციის პრინციპებში. ეს განსხვავებები, რა თქმა უნდა, მოითხოვს საბაზრო სტრატეგიის, პროდუქციის სახეობისა და მართვის პრაქტიკის მორგებას ქვეყნის პირობებისადმი. მაგალითად, ავტომობილების კომპანიები იმ მანქანების მოდელების გაყიდვას უწყობენ ხელს, რომლებიც დამოკიდებულია ისეთ ფაქტორთა სპექტრზე, როგორიცაა:

[1] თ. შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბ. 2012 გვ.30

ადგილობრივი საწვავის ფასები, შემოსავლის დონე, ტრანსპორტის გამოყენების ინტენსივობა და კულტურული ღირებულებები.

გლობალურ ბაზარზე ერთი და იგივე ფირმები, როგორც კონკურენტები უპირისპირდებიან ერთმანეთს. თუკი ერთ-ერთი ფირმა შევა ქვეყანაში, რომელიც ამავდროულად არ სარგებლობს მისი კონკურენტის მომსახურებით, მისი კონკურენტები, რა თქმა უნდა, იმავე გზას გაჰყვებიან, რომ თავიდან აიცილონ მათი მოწინააღმდეგის დაწინაურება. განვითარების კვალდაკვალ, ინდუსტრიის მზარდი რიცხვის პირობებში, უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი „გერმანულ ბაზარზე“ „ამერიკულ ბაზარზე“ „ბრაზილიურ ბაზარზე“ ან „იაპონურ ბაზარზე“ საუბარი. მრავალი ფირმისთვის არსებობს მხოლოდ ერთიანი, გლობალური ბაზარი.

წარმოების გლობალიზაცია ემყარება მომხმარებლის საქონლითა და მომსახურებით მომარაგებას დედამიწის გარშემო არსებული იმ ტერიტორიებიდან, რომლების ეროვნული განსხვავებების გათვალისწინებით, ფასისა და წარმოების ფაქტორების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას იძლევიან. ამის გაკეთებით კომპანიები იმედოვნებენ, შეამცირონ თავიანთი მთლიანი დანახარჯების სტრუქტურა, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, რომელიც თავის მხრივ საშუალებას აძლევთ მათ გაზარდონ მოგება და ეფექტიანობა. მაგალითისთვის განვიხილოთ კომპანია „ბოინგის“ კომერციული საჰაერო თვითმფრინავის მოდელი. იაპონიაში ამ თვითმფრინავის კარებისა და ფრთების ძირითად ნაწილებს რვა მიმწოდებელი აწარმოებს. სინგაპურში ორი აწარმოებს კარებს, იტალიაში სამი თვითმფრინავის ფრთების ნაწილებს და ასე შემდეგ. ჯამში ამ თვითმფრინავის დაახლოებით ღირებულების 30 %-ს უცხოური კომპანიები ქმნიან.

კომპანიის გადაწყვეტილება, დიდი რაოდენობით ნახევარფაბრიკატების წარმოება უცხოელ პარტნიორებისთვი დაეკისრებინა მოტივირებულია იმით, რომ ისინი მსოფლიოში საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობენ. მწარმოებელთა გლობალური ქსელი უკეთ აწარმოებს საბოლოო პროდუქტს, რომელიც უფრო მეტად ზრდის „ბოინგის“ შანსებს გაზარდოს საჰაერო ტრანსპორტის შეკვეთები, ვიდრე მისი გლობალური კონკურენტი. ასევე გადანაწილებული აქვს პროდუქციის წარმოება

უცხო ქვეყნებზე იმ მიზნით, რომ გაზარდოს ამ ქვეყნებიდან შეკვეთების მიღების შესაძლებლობა.[2]

ნათელია ის ფაქტი, რომ დღეს ცხოვრებას გვიადვილებს საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობა. ამ გზით ყველას გვეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ ხელმისაწვდომი იყოს ჩვენთვის ხარისხიანი საქონლის მოხმარება შედარებით ხელმისაწვდომ ფასებში. როგორც ცნობილი ეკონომისტი გრეგორი მენქიუ ამბობს, ქვეყნის მიერ ბარიერების მოშლით ზოგი მოგებული რჩება და ზოგი ზარალდება, მაგრამ საერთო ჯამში სარგებლობა ზარალს აჭარბებს. საერთაშორისო ვაჭრობის დადებითი მხარეები ისაა, რომ იგი ზრდის საქონლის მრავალფეროვნებას, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული საქონელი განსხვავდება ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარე, თავისუფალი ვაჭრობა მომხმარებელს ფართო არჩევანს სთავაზობს. გარდა ამისა, საერთაშორისო ვაჭრობას ახასიათებს მასშტაბის ეკონომია, რაც გულისხმობს საქონლის წარმოებას შემცირებული დანახარჯებით, როცა წარმოების მოცულობა დიდია და გვაქვს უფრო დაბალი ფასები. პატარა ქვეყანაში ფირმები მასშტაბის ეკონომიის უპირატესობას ვერ გამოიყენებენ, თუ ისინი მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე იმუშავებენ. თავისუფალი ვაჭრობა გზას უხსნის კონკურენციას, რადგან თუ კომპანია დაცულია უცხოელი კონკურენტებისაგან, შესაძლოა იგი ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რაც მას საშუალებას მისცემს ფასები კონკურენტულზე უფრო მაღლა ასწიოს, ეს კი ბაზრის კრახს იწვევს. ასევე, ეს გზა საუკეთესო საშუალებაა მოწინავე ტექნოლოგიური მიღწევების გასავრცელებლად. ღარიბ სასოფლო სამეურნეო ქვეყანას კომპიუტერული რევოლუციის გზაზე დასადგომად ურჩევნია, კომპიუტერები მარტივად საზღვარგარეთ შეიძინოს, ვიდრე თავად სცადოს მისი წარმოება.[3]

---

[2] თ. შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბ. 2012 გვ.37

[3]http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/58997-%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0-%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98/122

თავი II. გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო კომპანიის ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელობა

2.1. გლობალური კორუფცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკასა და ბიზნესში

ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორია, წარმოადგენს საკმაოდ ახალ მომდინარეობას, ეს მიმდინარეობა მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, რაც აჩქარებს ეკონომიკურ ცვლილებებს. ამასთანავე ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთდროულად უნდა იყოს მდგრადი და ელასტიური, რადგან გაურკვევლობა ქაოსის ფონზე წარმოქმნის ობიექტურად არაპროგნოზირებადდ და მოულოდნელ სიტუაციას.

გლობალიზაციის უმნიშვნელოვანეს შედეგად ან კანონზომიერებად ითვლება მოულოდნელად ზრდადი ეკონომიკური არასტაბილურობა, რაც გამომდინარეობს მასობრივი მიგრაციის ფაქტიდან, რომელიც დამახასიათებელია გლობალიზაციის პროცესისათვის, ასევე გამომდინარეობს იქედან რომ კონკურენციის გაძლიერება და ახალი უფრო იაფფასიანი საქონლის შემოსვლა აიძულებს მოსახლეობას გადააფასოს არა მარტო საკუთარ სამომხმარებლო ჩვევების ასევე მის მონაწილეობას წარმოებაში.[4]

საერთაშორისო ბიზნესის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ერთ-ერთ ძლიერ მუქარას წარმოადგენს კორუფცია, რომელიც უკანასკნელ წლებში თავისი გამოვლენის მრავალფეროვნებით და დინამიურობით ხასიათდება. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის გაღრმავების პროცესს თან ახლავს კორუფციის, როგორც რთული სოციალური ფენომენის, ინტერნაციონალიზაცია, რაც მის ექსპორტში და, შესაბამისად, სივრცით-გეოგრაფიულ გაფართოებაში გამოიხატება. ამაზე მიუთითებს სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო ორგანიზაცია «Transparenty International»-ის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში «მსოფლიო კორუფციის ბარომეტრი», რომლის თანახმად 2011 წელს მსოფლიოში ყოველი მეოთხე ადამიანი ქრთამს იღებდა. დღეისათვის დედამიწაზე კორუფციის გარეშე არ არსებობს არც ერთი ქვეყანა. გაეროს სტატისტიკის მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად კორუფციულ გარიგებებში ექცევა ერთ ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი, რაც მსოფლიოს მშპ-ს

[4] Васильев, Договорное право в международном обороте, 2002

თითქმის 2 პროცენტს შეადგენს. კორუფციასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მასთან ბრძოლის სტრატეგიები დიდი ხანია მეცნიერული კვლევის საგანია, თუმცა გლობალური კორუფციის კომპლექსური შესწავლის კუთხით სამეცნიერო კვლევები ჯერჯერობით საწყის სტადიაზეა. წინამდებარე მოხსენების მიზანია საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში და კერძოდ, საერთაშორისო ბიზნესში კორუფციის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის, შეფასებისა და განზოგადების საფუძველზე პრობლემის აქტუალურობის წინა პლანზე წამოწევის მცდელობა და გლობალურ კორუფციასთან ბრძოლის ზოგიერთი მეთოდური და პრაქტიკული ხასიათის წინადადებების შემოთავაზება.

კორუფციის ცნების გაგების სხვადასხვა კონცეფციები არსებობს. კლასიკური გაგებით კორუფცია განმარტებულია როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლის მისაღებად. ჩვენი აზრით, ეს ყველაზე მშრალი, დღეისათვის მოძველებული განმარტებაა. კორუფციამ, როგორც უკანონო ქმედებამ ახალი თვისებები და ფორმები შეიძინა, შეიძლება ითქვას, იგი გლობალიზაციის პარალელურად განვითარდა, უფრო «სრულყოფილი» და მრავალწახნაგოვანი გახდა. მიგვაჩნია, რომ ყველა ის ქმედება, რომელიც მიმართულია დაუმსახურებელი, უკანონო ნებისმიერი სახის ეკონომიკური და ინტელექტუალური სარგებლის მიღებასთან კორუფციად უნდა ჩაითვალოს. ასეთ ქმედებებად უნდა იქნას მიჩნეული ქრთამის აღება და მიცება, ნეპოტიზმი, ანგარებითი ლობიზმი, ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვა, პოლიტიკური პარტიების უკანონო დაფინანსება, გამოძალვა, სახელმწიფო მოხე- ლეებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემა, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება ნეპოტიზმის ნიშნით, ბიუჯეტის გაუმჭვირვალობა და სხვა ქმედებები, რომლითაც შესაძლებელია არაკანონიერი მატერიალური, ინტელექტუალური და სხვა სახის სარგებლის მიღება.

დღეისათვის კორუფციის ოთხ ძირითად სახეს განიხილავენ: საყოფაცხოვრებო კორუფ- ცია, საქმიანი კორუფცია, უმაღლესი ხელისუფლების (ელიტარული) კორუფცია, პოლიტიკური კორუფცია. ჩვენი აზრით, კორუფციის მოცემული კლასიფიკაცია შემდგომ სრულყოფას და ტრანსფორმაციას საჭიროებს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე ტრანსნაციონალიზაციის ანუ ჭარბი კაპიტალის მქონე ქვეყნებიდან მის დეფიციტურ ქვეყანებში გადაადგილებას თან სდევს ორივე მხარის სწრაფვა მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ. ეს ჩვეულებრივი და მისაღები პროცესია, თუმცა მისი

პრაქტიკული რეალიზაცია დაკავშირებულია სხვადასხვა ეგზოგენურ და ენდოგენურ წინააღმდეგობრივ ფაქტორებთან და პირობებთან, რომლის გადასაჭრელად ხშირ შემთხვევაში ორივე მხარე მზადაა მიმართოს კორუფციულ გარიგებებს.

საერთაშორისო ორგანიზაციები ცალკეულ ქვეყნებს და სხვა სუბიექტებს რესურსებს უნაწილებენ მათში დასაქმებული ჩინოვნიკების მეშვეობით, რომლებიც არ არიან ამ რესურსების მესაკუთრეები. ამავე დროს საერთაშორისო ორგანიზაციების ბიუროკრატიაზე არაა დაწესებული ისეთი ძლიერი და მუდმივი მონიტორინგი, როგორც ნაციონალურ ორგანიზაციებზე, რადგან არ არსებობს მათი სპეციალური საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანო, ხოლო, არსებული საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუციები, რომელთა ფუნქციას შეადგენს მათ მიერ განაწილებული რესურსების მიზნობრივ ხარჯვაზე კონტროლი, ან ვერ უმკლავდებიან ამ კუთხით საქმიანობას, ან თავად არიან ჩაფლული კორუფციულ გარიგებებში. ყოველივე ეს იწვევს ინტერნაციონალური ხასიათის კორუფციის მასშტაბების ზრდას. კორუფციას, რომლის ექსპორტირება ხდება საერთაშორისო საფინანსო–ეკონომიკური ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურების საქმიანობის შედეგად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, შეიძლება ვუწოდოთ გლობალური კორუფცია. იგი ვლინდება უცხოური კაპიტალის მონაწი- ლეობით ისეთ საქმიანობებში როგორიცაა: ერთობლივი საწარმოების შექმნა, ინვესტიციური პროექტების რეალიზაცია და სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, საბანკო ტრანზაქციების განხორციელება, გარიგებები ოფშორებიდან გადასახადების რეპატრიაციაზე, ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვება და შენარჩუნება, ლობისტური ჯგუფების საქმიანობა, საერთაშორისო დახმარებებისა და გრანტების განაწილება და სხვა საერთაშორისო დონის საქმიანობები. გლობალურ-ინტერნაციონალური ხასიათისაა ცალკეული ქვეყნების ლიდერების და პოლიტიკოსების, მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებისა და ტოპ მენეჯერების მიერ კო- რუფციული გზით მოპოვებული ფულის მსხვილ საერთაშორისო ბანკებში შენახვა და სხვა. საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე არც ერთი ქვეყანა არაა დაცული გლობალური კორუფციისაგან. ამ პრობლემის აქტუალურობა მსოფლიო თანასაზოგადოებამ ცხადად დაადასტურა

უკანასკნელ წლებში, ჩატარებული კვლევებით საერთაშორისო სამიტებზე. მოკლედ მიმოვიხილოთ საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობებში გლობალური კორუფციის გავრცელების შესაძლებლობები და სქემები.

• კორუფცია ტრანსეროვნულ კომპანიებში. იგი დიდ საფრთხეს უქმნიან მსოფლიო ეკონომიკას. ტრანსეროვნული კორუფცია ვლინდება თანამდებობრივი პირების მოსყიდვაში, რომლის მიზანია შესაძლებლობების მიღება განახორციელონ ან გააგრძელონ ეკონომიკური საქმიანობა რომელიმე ქვეყანაში, ან მიიღოს გარკვეული არაკანონიერი უპირატესობები ექსპერტების შეფასებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (Organization for Economic Co-operation and Development – OECD) შემავალ ქვეყნებში, სადაც იწარმოება მსოფლიო მთლიანი შიგა პროდუქტის დაახლოებით 60%, ყოველწლიურად უცხოელი ჩინოვნიკების მოსასყიდად იხარჯება 30 მილიარდამდე დოლარი, ხოლო იარაღით საერთა- შორისო ვაჭრობისას ქრთამის სახით გაიცემა 2,5 მილიარდ დოლარამდე.[5]

კორუფცია პოლიტიზებულ ბიზნესში. ტრანსნაციონალური კომპანიები თანდათანობით შეეზარდნენ სახელმწიფოს. წარმოიქმნა «პოლიტიკური ბიზნესმენების» კასტა, რომლებიც მმართველი პარტიებისათვის არჩევნებში თანადგომისა და ფულადი დახმარების სანაცვლოდ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათი მხრიდან სარგებლობენ სხვადასხვა სახის პრეფერენციებით და ლოიალური დამოკიდებულებით.

• ელიტარული კორუფცია. იგი გავრცელდა სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ეშელონებში და მიიღო საერთაშორისო ხასიათი. ელიტარული კორუფციის უამრავი მაგალითებია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნაში. დღეისათვის ყველაზე კორუმპირებულად ითვლება რუსეთი და ჩინეთი. საერთაშორისო გახმაურებული მსხვილი ინტერნაციონალური კორუფციის ფაქტორების უბრალო ჩამოთვლაც კი ტექნიკურად შეუძლებელია. კორუფციასთან დაკავშირებით გამოწვეული ხმაურის გამო თანამდებობიდან გადადგა გერმანიის პრეზიდენტი ქრისტიან ვულფი. საფრანგეთის ექს-პრეზიდენტი ჟაკ შირაქი გაასამართლეს ქ. პარიზის მერობის დროს მისი კორუფციული საქმიანობისათვის, ხოლო უკრაინის ექს-პრემიერ მინისტრი იულია ტიმოშენკო გასამართლდა კორუფციული გარიგებისათვის. კორუფციის

[5] Corrupnion, Global Securety, and Wold order/Robert J. Rotberg(ed), Washington: BrooKings Institution, 2009.

უნიკალურ მაგალითად უნდა იქნას მიჩნეული აშშ-ს ისტორიაში უდიდესი ფინანსური პირამიდის შემქმნელი ბერნარდ მედოფი, რომელსაც მიესაჯა სამუდამო პატიმრობა.[6]

• კორუფცია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებში. საერთაშორისო რეიტინგებისადმი ნდობის ხარისხი დაბალია. საერთაშორისო სარეტინგო სააგენტოების მონოპოლიურ მდგომარეობაზე და მათში საქმიანობის მეთოდოლოგიურ ხარვეზებზე და კორუფციულ სქემებზე ეჭვი სულ უფრო იზრდება მთელ მსოფლიოში. მონოპოლისტი "დიდი სამეული" სარეიტინგო კომპანიის საქმიანობა გლობალური კრიზისის შემდგომ პერიოდში ევროპის წამყვანი ქვეყნებისა და აშშ დაპირისპირების მიზეზი გახდა, რის გამოც ევროკავშირმა სულ ახლახან დაარსა ახალი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო, რომელიც მკაცრ მონიტორინგს დაექვემდებარება.

• კორუფცია საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში. «მსხვილმასშტაბიანი» კორუფ- ციის ერთ-ერთი ფართო ასპარეზია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოთა ფინანსური და ტექნიკური დახმარებები. რიგი კლეპტოკრატიული (ქურდების ხელისუფლება) სახელმწიფოები ბლოკავენ ისეთ პროექტებს, რომლებიც გათვლილია მოსახლეობის ღარიბი ფენისათვის და პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებენ თავისუფალი კონკურენციის არსებობას. ამავე დროს არიან სახელმწიფოები, რომლებიც მიღებულ დახმარებებს იყენებენ თავიანთი ძალაუფლების გასაძლიერებლად და საკუთარი მოქალაქეების ექსპლუატაციისათვის. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ასეთ ქვეყნებს არ უნდა გაეწიოს დახმარება.[7] კორუფციის სერიოზულ გამოვლინებებს აქვს ადგილი საერთაშორისო საბანკო სისტემაში., მაგ., აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და სხვა ქვეყნების მსხვილ ბანკებში. საეჭვო ბანკების სიაში მოხვდა ვატიკანის ბანკიც, რომელიც წლების განმავლობაში ეწეოდა «ფულის გათეთრების» ოპერაციებს.

• კორუფცია ლობისტურ ინსტიტუტებში. ლობიზმის ინსტიტუტი ზოგადად გულისხმობს იმ კანონშემომქმედებზე ზეწოლას, რომლებიც მუშაობენ სამართლებრივი აქტის მომზადებაზე. ამგვარი საქმიანობის სამართლებრივი

---

[6] http://www.10samih.ru/lyudi/top-10-samyx-korrumpirovannyx-chinovnikov-mira.html

[7] Сьюзан Роуз-Аккерман, Коррупция и государство: причины, следствия, реформы, пер. с англ., М. «Логос», 2003.с.47.

რეგულირების მთავარი პრობლემა მდგომარეობს პატიოსან ლობისტურ აქციასა და მოსყიდვას შორის ზღვრის დადგენაში. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში როგორც იფიციალურმა, ასევე არალეგალურმა ლობიზმმა კორუფციული შეფერილობა მიიღო. თანაც კორუფციულ ელემენტებს შეიცავენ როგორც ნაციონალური, ასევე უცხოური ლობისტური ინსტიტუტები. ეს უკანასკნელი პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის

უმაღლესი თანამდებობის იმ პირებთან, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზული გავლენა მოახდინონ საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების გადაწყვეტილებებზე.

ცნობილია, რომ „Transparenty International“ კორუფციის კვლევას ატარებს სამი მიმართულებით: «კორუფციის აღქმის ინდექსი», «ქრთამის მიცემის ინდექსი» და “მსოფლიო კორუფციის ბარომეტრი” რომელებიც გვიჩვენებენ მსოფლიოს ქვეყნებში სახელმწიფო ორგანოების კორუმპირებულობის დონეს, აფასებენ მეწარმეებს შორის კორუფციის გავრცელების სიდიდეს, ზომავენ მოქალაქეთა დამოკიდებულებას კორუფციისადმი. აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ «კორუფციის აღქმის ინდექსისაგან» განსხვავებით, «ქრთამის მიცემის ინდექსის» გამოკვლევა ხდება მსოფლიოს 28 მსხვილი ქვეყნის ჭრილში, რაც ხშირად მცირე ზომის ცალკეულ ქვეყნებში კორუფციის შეფასებისას ქმნის ცრუ წარმოდგენებს. მაგალითად, ის გარემოება, რომ “ქრთამის მიცემის ინდექსის” ჩამონათვალში არ ფიგურირებენ ისეთი მცირე ზომის ქვეყნები, როგორიცაა აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო, სრულიად არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნების საერთაშორისო ბიზნეს-საქმიანობაში ქრთამის მიცემა-აღებას არა აქვს ადგილი.

მსოფლიო თანასაზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კორუფციასთან ბრძოლას და შესაბამის გამაფრთხილებელ საქმიანობას. ამ მიზნით უკანასკნელ წლებში გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნა მთელი რიგი დოკუმენტები, თუმცა მსოფლიოში კორუფციის მხრივ მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეტაპზე ყალიბდება დადებითი ტენდენცია ანტიკორუფციული საქმიანობის საერთაშორისო პროექტების ფორმირებისა და რეალიზაციის მიმართულებით, კვლავაც გადაუჭრელი რჩება მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები. როგორც ჩანს,

არსებული საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური წესრიგის შენარჩუნების პირობებში შეუძლებელია კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლა. გლობალური კორუფცია ხელს უშლის ერთიანი, მსოფლიოს სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის ფორმირებას, იწვევს სოციალური წონასწორობის დესტაბილიზაციას, იწვევს მსოფლიო ეკონომიკური მოწყობის დიფუზიას. გლობალურ კორუფციასთან ბრძოლის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ შემუშავდეს საერთაშორისო ანტიკორუფციული სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება მსოფლიოში საზოგადოების ანტიკორუფციული განწყობის ფორმირებისაკენ, კორუფციის ნეგატიური შედეგების გაცნობიერებისაკენ, ფინანსურ სფეროში გამჭვირვალობის და კორუფციული შემთხვევების გამოვლენისაკენ, კორუფიისაგან დაზარალებული სუბიექტების დანაკარგების სამართლიანი ანაზღაურებისაკენ;
- ✓ გაიხსნას საერთაშორისო ბანკებში განთავსებული ინდივიდუალური მსხვილი ანაბრები, შეფასდეს მათი წარმოშობის კანონიერება და კორუფციის გამოვლენის შემთხვევაში დაპატიმრებულ იქნას ნომრიანი უსახელო ანგარიშები და აღნიშნული თანხები დაუბრუნდეს კორუმპირებული პირის ბაზირების სახელმწიფოს;
- ✓ სახელმწიფოებში შიდა და გარე კორუფციასთან ბრძოლის მიზნით შეიქმნას ანტიკორუფციული სამსახური, რომელიც განახორციელებს სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების მიერ კორუფციასთან ბრძოლის კუთხით გატარებულ ღონისძიებათა მონიტორინგს. ასეთი დუბლიორი სამსახურის საქმიანობის პრაქტიკა კარგადაა აპრობირებული ისრაელში;
- ✓ საჭიროა კორუფციასთან ბრძოლის ზომიერი, ოპტიმალური რეჟიმის დამყარება, რადგან როგორც ჩინეთის გამოცდილება გვიჩვენებს, ამ კუთხით დამნაშავეთა დახვრეტაც კი უკუ რეაქციას იწვევს. დემოკრატიული რეჟიმი, მართალია არ იძლევა კორუფციისაგან გათავისუფლების გარანტიას, მაგრამ იგი კორუფციასთან ბრძოლის უფრო ეფექტიან შესაძლებლობას უზრუნველყოფს;

- ✓ განხორციელდეს ყველა სახელმწიფო კანონების პასპორტიზაცია და ლობისტური ზეწოლით მიღებული საეჭვო, კორუფციული საფრთხის შემცველი მუხლების გასწორება. ვინაიდან შეუძლებელია ლობისტურ საქმიანობაში კეთილსინდისიერ და კორუფციულ ზეწოლას შორის საზღვრის გავლება, აიკრძალოს ლობიზმის ინსტიტუტის არსებობა ხელისუფლების ყველა შტოებში;
- ✓ ოფშორებმა, როგორც «საგადასახადო სამოთხემ» უნდა შეწყვიტონ საიდუმლო თავშესაფრის ფუნქციის შესრულება. საერთაშორისო და ეროვნულ ბაზრებზე ფუნქციონირებადმა სუბიექტებმა უნდა მიიღონ უნიკალური ღია ნომრები, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის საერთაშორისო გამჭვირვალობას. ოფშორულ ზონებში ფირმების რეგისტრაცია, მესაკუთრის ვინაობა და მისამართი, ეკონომიკური საქმიანობის ფორმები და მეთოდები უნდა გახდეს საზოგადოებისათვის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი;
- ✓ შემოწმდეს უცხოური ინვესტიციების კეთილსინდისიერების ხარისხი, რისთვისაც საჭიროა საზოგადოებას მიეწოდოს მათ შესახებ სრული ინფორმაცია, ასევე ღია გახდეს სახელმწიფოებსა და კერძო ფირმებს შორის დადებული გარიგებები და კონტრაქტები;
- ✓ გაიზარდოს ყველა დონის ბიუჯეტების გამჭვირვალობის ხარისხი, ბიუჯეტში გაუწერელი ხარჯების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტს;
- ✓ აიკრძალოს ყოფილი მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეების მიერ მსხვილ კერძო სტრუქტურებში ხელმძღვანელად დანიშვნა, რათა გამოირიცხოს კერძო სექტორის კორუფციული შეზრდა სახელმწიფოსთან. უმაღლეს თანამდებობაზე გამოირიცხოს პირველი რიგის ნათესავების დანიშვნა.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, კომპანია არაა დაზღვეული გლობალური კორუფციისაგან. ექსპორტ-იმპორტი, ინვესტიციები, საერთაშორისო ტრანზიტები, პრივატიზაცია, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცესთან, შეიცავს გლობალური კორუფციის მაღალ რისკებს. გამომდინარე

აქედან, საჭიროა არა მხოლოდ შიდა, არამედ აგრეთვე გლობალურ კორუფციასთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომელთა შორის მთავარია: სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების ფორმირება; სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება; პოლიტიკურ მენეჯმენტში პლუტოკრატიული და კლეპტოკრატიული ელემენტების შევიწროება და აღმოფხვრა; საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია და საზოგადოებრივი მორალის გაჯანსაღება.[8]

როდესაც ვსაუბრობთ გლობალურ კორუფციაზე თანამედროვე მსოფლიოში, არ უნდა დაგვავიწყდეს ის შემთხვევები, რომლებმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, ასე მაგალითად გახმაურებული ფულის გათეთრების სკანდალი ჩვენს ისტორიაში.

საკრედიტო და კომერციის საერთაშორისო ბანკი (BCCI), რომელმაც 23 მილიარდი აშშ დოლარი დაკარგა, გაირკვა, რომ ბანკში ხდებოდა დიდი, დაურეგულირებელი ანაბრები. BCCI დაადანაშაულეს ფულის გათეთრებაში ისეთ ფიგურებზე, როგორებიცაა სადამ ჰუსეინი, აბუ ნადალი, სამუელ დო და სხვა არაკეთილსინდისიერი პერსონაჟები.

დანსკის ბანკი რომელმაც 229 მილიარდი დოლარი დაკარგა ფულის გათეთრებით. ეს არის ყველაზე ბოლოდროინდელი სკანდალი ჩვენს ისტორიაში, ეს გახდა 2018 წლის საერთაშორისო ამბები. სკანდალს ახლა ყველაზე მასშტაბური უწოდეს ევროპაში.

Standard Chartered Bank არის დიდი ბრიტანეთის ინსტიტუტი, რომელიც ოფიციალურად მუშაობს 1969 წლიდან, მომხმარებლებთან მუშაობისას დაკისრებული სანქციების დარღვევის გამო ბანკი დაჯარიმდა 670 მილიონი დოლარით.

ბერნარდ მედოფი ერთ-ერთი ყვალაზე გავლენიანი ფინანსისტი, რომელმაც შექმნა მრავალმილიარდიანი საფინანსო პირამიდა. გამომძიებლების მტკიცებით, 170-მა მილიარდმა დოლარმა გაიარა მისი ფირმის ანგარიშებზე. მედოფის ფირმის თაღლითობა წლების განმავლობაში ვერ შენიშნეს, რადგან პირამიდა ერთობ

[8] Вопросы экономики, 2005, №3, с. 33.

ჭკვიანურად იყო აწყობილი და ინვესტორებს მაღალ მოგებას პირდებოდა და უხდიდა

კიდეც. საქმეში ასევე ჩართული იყო ბუღალტერი, რომელიც მას ანგარიშების ყალბად წარმოებაში ეხმარებოდა, სხვა მის გვერდით არავინ არის შემჩნეული, როგორც თანამოსაქმე. მიუხედავად იმისა რომ ექპერტებს წარმოუდგენლად მიაჩნდათ მთელი ამ თაღლითობის წარმოება მხოლოდ ერთი ადამიანისგან, სხვა ფიგურები არ გამოვლენილა. მედოფი ერთ დროს ნაზდაკის სააქციო ფონდის ხელმძღვანელი იყო და საკმაოდ კარგი რეპუტაციითაც სარგებლობდა, მის კლიენტებს შორის არიან ჰოლივუდელი ცნობილი ადამიანები, ბანკები, ასევე საქველმოქმედო ორგანიზაციები და უბრალოდ, ოჯახები, რომლებსაც ერთ დღეში დაეკარგადთ დანაზოგი. მედოფის პირამიდის გამოვლენის შემდეგ დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ მთავრობამ გარკვეული ზედამხედველობა უნდა დაუწესოს ასეთ ფირმებს, რათა მსგავსი რამ აღარ მოხდეს. მედოფს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

2.2. ეროვნული - ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ერთიანი სისტემა

გლობალიზაციის შედეგად საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მზარდმა ინტერნაციონალიზაციამ და შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ამ პროცესებში ჩართული ცალკეული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების დონე და მთელი რიგი თანმდევი ნეგატიური მოვლენების პროვოცირება გამოიწვია.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გაცილებით რთულდება, ვიდრე „ცივი ომის“ და ორპოლუსიანი მსოფლიოს დროს. ორი სისტემის - კაპიტალისტურისა და სოციალისტურის დაპირისპირების პირობებში ეროვნული ინტერესები უფრო ღიად და გამოკვეთილად ფიქსირდებოდა. ამიტომაც საფრთხეებიც შედარებით მარტივად პროგნოზირებადი იყო. ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად კი მთელი რიგი ახალი საფრთხეები წარმოშვა, კერძოდ: გაღრმავდა ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა; გაიზარდა სასაქონლო,

საფონდო და სავალუტო ბაზრების დამოკიდებულება გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე და აქედან გამომდინარე ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობა; სახეზეა სამუშაო ძალის მზარდი ლეგალური და არალეგალური მიგრაცია; გაიზარდა ორგანიზებული დანაშაული, განსაკუთრებით „კორპორატიული თაღლითობა“ . ამის ნათელი მაგალითია ენერგეტიკული კომპანია Enron.

კომპანია Enron-ის მეთაურმა კენეტ ლეიმ თავისი კომპანია გაკოტრებამდე მიიყვანა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს კომპანია გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით, თაღლითურ ფინანსურ სქემეებს იყენებდა. თვით კენ ლეიმ ამ ისტორიაში ძალიან ცუდად "გამოიჩინა" თავი. მან ძალიან კარგად იცოდა კომპანიის უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, საკუთარ თანამშრომლებს რჩევებს აძლევდა "ენრონის" აქციები შეეძინათ. ამ კომპანიის აქციონერთა და თანამშრომელთა დანაკარგი მილიარდობით დოლარად არის შეფასებული. მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, თვით კომპანიის ხელმძღვანელი უზარმაზარ ხელფასებს იღებდა. 2001 წელს მან ანაზღაურების სახით 100 მილიონი დოლარი მიიღო. ამ კომპანიის რამდენიმე ხელმძღვანელის და მათ შორის კენ ლეის საქმიანობით გამოძიება დაინტერესდა. კორპორაცია "ენრონი" 2001 წელს გაკოტრდა. არასრული ექვსი თვის განმავლობაში მისი საბაზრო ღირებულება 60 მილიარდი დოლარიდან პრაქტიკულად ნულამდე "დაეშვა". ამ კომპანიის ვალმა 31,8 მილიარდი დოლარი შეადგინა. უმუშევარი დარჩა 4 ათასი ადამიანი. კომპანიის თანამშრომლებმა 2 მილიარდი დოლარი საპენსიო დანაზოგების სახით დაკარგეს.

ამ ბიზნეს სკანდალმა ამერიკის ეკონომიკას უზარმაზარი ზარალი მიაყენა. ფინანსურმა ბაზარმა ასობით მილიარდი დოლარი და ათობით ათასი სამუშაო ადგილი დაკარგა. ექსპერტთა აზრით ამ ფინანსურმა სკანდალებმა ამერიკას ისეთივე ზარალი მიაყენეს, როგორიც ტერორისტულმა აქტებმა 2001 წლის 11 სექტემბერს. ასეთი შემთხვევების მომრავლების გამო, ამერიკის საფინანსო კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებები შეიტანეს, რომელიც მსგავს დარღვევებს აღარ დაუშვებს.[9]

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში სხვა ქვეყნის წინააღმდეგ უშუალო სამხედრო მოქმედებებმა და აშკარა დაპირისპირებამ ადგილი დაუთმო

[9] tp://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=26&rubr=0&mas=872

ზემოქმედებისუფრო ელასტიურ და ფარულ ფორმებს - ეკონომიკურ ომს, სტრატეგიული რესურსების ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენებას, ეკონომიკურ ბლოკადას, სანქციას, სახელმწიფო და კომერციული საიდუმლო ინფორმაციის არასანქცირებულ მოპოვებას და სხვა, რისი საშუალებითაც ხორციელდება სხვა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესუსტება და საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარება. ამ კუთხით გლობალიზაცია საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის არა მარტო დღეს არსებულ მყიფე საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს (საერთაშორისო უსაფრთხოებას), არამედ ართულებს ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტების ეფექტიან ურთიერთქმედებას.

1945 წლიდან დაწყებული, XXI საუკუნის დამდეგამდე ხდებოდა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების აშშ-ის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კურსთან ადაპტაცია, რომელიც ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან და ეროვნული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარეობდა. ამ პირობებში ცალკეული ქვეყნების ეკონომიკა და ეკონომიკის მართვის ეროვნული სტრატეგია თანდათან მნიშვნელობას კარგავდა. ამავე დროს, XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები და უპირველესად 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომლის პროვოცირება სწორედ აშშ-იდან დაიწყო, გვიჩვენებს, რომ ყოველ სახელმწიფოს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ადაპტირებული და შეთანხმებული ეროვნული უსაფრთხოების დამოუკიდებელი სტრატეგია და პოლიტიკა უნდა ჰქონდეს.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის განუყოფელი ნაწილია და ეკონომიკური ბაზისის პირველადობიდან გამომდინარე, მისი საფუძველიცაა.საზოგადოების განვითარების

მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვიჩვენებს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებას საბოლოო ჯამში ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს. ამ პირობებში სასიცოცხლო აუცილებლობას იძენს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების (ეეუ) არსებული დონის შეფასების ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის ფორმირება. ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ერთიანი სისტემის

ფორმირება მოიცავს სამი, ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებული ღონისძიებების თანმიმდევრულ განხორციელებას. კერძოდ ესაა:

1.ეეუ შეფასების ინსტიტუციური უზრუნველყოფა;

2.ეეუ შეფასების სისტემისა და მეთოდების განსაზღვრა;

3.ეეუ შეფასების ინდიკატორებისა და პარამეტრების ფორმირება.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფის საკითხების რეგულირება, პრეზიდენტის უმთავრესი საკონსულტაციო ორგანოს - ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს და მისი აპარატის პრეროგატივაა. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე ეეუ ერთიანი სისტემის ფორმირება, წარმართვა და მონიტორინგი ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, რაც შემდეგი თანმიმდევრობით უნდა ხორციელდებოდეს:

პირველ ეტაპზე აუცილებელია შესაბამისი სამინისტროებიდან და უწყებებიდან ობიექტური ინფორმაციის ოპერატიული მიღება.

-საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ეეუ სტრატეგიისა და მიზნობრივი პროგრამების პოლიტიკურ-დიპლომატიური მხარე;

-ფინანსთა, ეკონომიკის, ენერგეტიკისა და სხვა ''ეკონომიკური ბლოკის'' სამინისტროებმა უნდა მოამზადონ წინადადებები ეეუ სტრატეგიისა და მიზნობრივი პროგრამების ეკონომიკური მეთოდებით შესასრულებლად;

- საგარეო დაზვერვის, უშიშროების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ეეუ სტრატეგიისა და მიზნობრივი პროგრამების შესრულებისთვის აუცილებელი ობიექტური ინფორმაციის ოპერატიული მოპოვება და წინადადებების მომზადება საფრთხის გასანეიტრალებლად.

მოპოვებული ინფორმაცია და შემუშავებული რეკომენდაციები მიეწოდება ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატს.

მეორე ეტაპზე ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატში განხორციელდება სხვადასხვა სამინისტროებიდან შემოსული მასალების ანალიზი და შეჯერება, რის შედეგადაც გამოცალკევდება ის ეკონომიკური, სამხედრო-

პოლიტიკური. სოციალური, ეკოლოგიური და სხვა. რისკები და გამოწვევები, რომელთა განხორციელება ან პირიქით - შეუსრულებლობა საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს. ამის საფუძველზე განისაზღვრება ეეუ არსებული დონის შეფასების ძირითადი ინდიკატორები და პარამეტრები. მესამე ეტაპზე ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატში, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით თითოეული კონკრეტული რისკის ფაქტორისა და გამოწვევის გასანეიტრალებლად დამუშავდება მოვლენათა შესაძლო განვითარების მრავალვარიანტული სიტუაციური მოდელი, რის საფუძველზეც ხელისუფლების უმაღლესი პირებისათვის უნდა შედგეს საპასუხო მოქმედებათა რეკომენდაციები.

მეოთხე ეტაპზე აღნიშნულ რეკომენდაციებს განიხილავს და დაამტკიცებს ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭო.

მეხუთე ეტაპზე ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს მიერ დამტკიცებულ რეკომენდაციებს და მოქმედების პროგრამებს (მ.შ. ძირითად ინდიკატორებსა და პარამეტრებს) მიეცემათ ნორმატიული სახე (კანონის, პრეზიდენტის ბრძანებულების ან განკარგულების ფორმით) და დაიყვანება კონკრეტულ შემსრულებლებამდე.

ეეუ მიზნობრივი პროგრამების შესრულების და შესაბამისი პოლიტიკის რეალიზაციის შეფასებას ანხორციელებს ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატი.

ეეუ ფაქტიური მდგომარეობის შეფასების სისტემა და მეთოდები დამოკიდებულია ეეუ უზრუნველყოფის დამუშავების კონკრეტულ დონეზე. სახელმწიფოს ეეუ დონის შეფასება განსხვავებულ მაჩვენებლებს მოითხოვს ვიდრე საზოგადოების ან პიროვნების ეეუ. ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს ეეუ შეფასებას გაცილებით რთული და მრავალმხრივი მაჩვენებლების ანალიზი სჭირდება, ვიდრე დანარჩენ ორს. დღეისათვის გამოიყენება ეეუ არსებული მდგომარეობის შეფასების შემდეგი ძირითადი მეთოდები:

ა. ექსპერტული სეფასების;

ბ. სტატისტიკური ანალიზის;

გ. სიტუაციური მოდელირების.

ა. ეეუ არსებული დონის ექსპერტული შეფასების მეთოდი გულისხმობს სხვადასხვა პროფილისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების (ექსპერტების) ჯგუფების შექმნას და მათ მიერ შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.ეს შედარებით მარტივი მეთოდია. ცდომილების და სუბიექტური შეფასებების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ამავე დროს პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ეეუ შეფასების ექსპერტული მეთოდი გულისხმობს დარგის ან მიმართულების ყველაზე კვალიფიციური კადრების შერჩევას, რომელთა დასკვნა და რეკომენდაციები თავისუფალი იქნება პოლიტიკური კონიუნქტურისგან.

გარდა ამისა, ეს მეთოდი გაცილებით ოპერატიულია, ვიდრე დანარჩენები. ამ დროს გამოიყენება ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შემდეგი ფორმები: „ინტელექტუალური შეტევის“, „სცენარების შედგენის“, „საქმიანი თამაშების“, „დელფის“ და სხვ.

ეეუ ექსპერტული შეფასების მეთოდის ეტაპებია:

-შეფასების მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბება;

-ინფორმაციის მოძიების და დამუშავების მეთოდებისა და ხერხების შერჩევა;

-ექსპერტთა ჯგუფის დაკომპლექტება;

-ექსპერტიზის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;

-საბოლოო ანგარიშის შედგენა.

ბ. ეეუ შეფასების სტატისტიკური ანალიზის მეთოდი გულისხმობს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეეუ უზრუნველყოფის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის გამოყენებით ეუ არსებულ მდგომარეობასთან შედარებითი პარალელური კვლევების ჩატარებას და ამის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას. ამ მეთოდის უარყოფითი მხარეა ის, რომ მხოლოდ მექანიკური გამოყენებისას საკმაოდ მაღალია ცდომილების ხარისხი.

გ. ეეუ შეფასების სიტუაციური მოდელირების მეთოდი დღეისათვის ითვლება კრიტიკული სიტუაციების, გამოწვევებისა და ეკონომიკური საფრთხეების მეცნიერული ანალიზის ყველაზე ეფექტიან საშუალებად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ოპტიმალურად გადაიჭრას შემდეგი პრობლემები:

-მონაცემთა ბაზის მონიტორინგი;

-რთული სიტუაციების (პრობლემების, საფრთხეების) მოსალოდნელი განვითარების ტენდენციების ანალიზი;

-მოსალოდნელი კონკრეტული რისკების, პრობლემების და საფრთხეების ანალიზი;

-შესაძლო სცენარების მოდელირება გლობალურ, სტრატეგიულ და ლოკალურ დონეებზე;

უნდა აღინიშნოს, რომ ეეუ ფაქტიური მდგომარეობის შესახებ მაქსიმალურად სრულ სურათს სამივე მეთოდის კომპლექსური გამოყენება იძლევა.

ეეუ არსებული მდგომარეობის შეფასების სისტემას (ინდიკატორებსა და პარამეტრებს) და კონკრეტულ მეთოდებს განსაზღვრავს და მათი შესრულების მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატი.

როგორც ავღნიშნეთ, სხვადასხვა სამინისტროებიდან და უწყებებიდან შემოსული მასალების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე განისაზღვრება ეეუ არსებული დონის შეფასების ძირითადი ინდიკატორები და პარამეტრები. ეეუ ინდიკატორები ეროვნული ეკონომიკური ინტერესების ცალკეული მიმართულებების მიხედვით განსაზღვრული ის აგრეგირებული ხარისხობრივი ეკონომიკური მაჩვენებლებია, რომელთაც შეუძლიათ ეროვნულ ეკონომიკას ყველაზე მეტი საფრთხე შეუქმნან.

მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება; ფულად-საკრედიტო სისტემის არასტაბილურობა; საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირება; სტრატეგიული რესურსების მარაგების შექმნა; ბიუჯეტის დეფიციტი; საგარეო და საშინაო ვალი; სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების შემცირება; ძირითადი ფონდების მოძველება; არსებული რესურსული პოტენციალი და მისი შევსება; კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის ზრდა; უცხოურ ინვესტიციებზე დამოკიდებულების ზრდა და სხვა.

ეეუ ინდიკატორების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს შემდეგი დონეების მიხედვით:

ა. **გლობალურ დონეზე** - ქვეყნის წინაშე მდგარი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს უზოგადესი ინდიკატორები

(ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის; ეკონომიკური პოტენციალის სრული ამოქმედება; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ა.შ.).

ბ. **გეოსტრატეგიულ დონეზე** - დროის სხვადასხვა პერიოდისათვის ქვეყნის წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს შესაბამისი ინდიკატორები (ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, უცხოური ინვესტიციების სტიმულირება; საზოგადოების ქონებრივი პოლარიზაცია, უმნიშვნელოვანესი რესურსების სტრატეგიული მარაგების შექმნა, ინფრასტრუქტურის ოპტიმალური ფუნქციონირება და ა.შ.).

გ. **ტაქტიკური მიზნების დონეზე** - ამ დროს უნდა განისაზღვროს ის ინდიკატორები, რომლებიც დააკონკრეტებენ სრატეგიულ ინდიკატორებს (მაგალითად, მრეწველობის, აგრარული სექტორის და სხვა. ხვედრითი წილი მშპ-ში, სტრატეგიული მარაგების რესურსული შემადგენლობა და ოპტიმალური მოცულობა, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო არტერიების დივერსიფიცირების კონკრეტული ფორმები და ა.შ.)

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ეეუ ინდიკატორები, უნდა დადგინდეს მათი რაოდენობრივი საზღვრები (ზღვრული პარამეტრები), რომელთა გადამეტება (ან შეუსრულებლობა) ეწინააღმდეგება ეეუ ინტერესებს და საბოლოო ჯამში ქვეყნის უსაფრთხოების ერთიან სარტყელს არღვევს. ეს პარამეტრები, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით რაოდენობრივად უნდა აფასებდნენ ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობას, ხოლო მათი დამტკიცება ოფიციალურ (საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების) დონეზე უნდა მოხდეს, რის შემდეგაც ისინი მიიღებენ სავალდებულო ნორმის სახეს და მათი შესრულება აუცილებელი გახდება.

რაოდენობრივი ზღვრული პარამეტრების მაგალითებია: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მინიმალური დონე; ინფლაციის ტემპების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი; საბაჟო ტარიფების ოპტიმალური სიდიდე; სტრატეგიული რესურსების კონკრეტული სახეების (ბენზინი, ხორბალი, ფქვილი, დიზელის საწვავი და ა.შ.) მინიმალური მარაგები (ტონებში ან დღეებში); ბიუჯეტის დეფიციტის

მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი; საგარეო და საშინაო ვალის მაქსიმალური პარამეტრები; სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და ძირითადი ფონდების განახლების ტემპები და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეეუ უმაღლესი დონე მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც ეეუ ინდიკატორების მთელი სისტემა წინასწარ დადგენილ უსაფრთხოების საზღვრებს ანუ ზღვრულ პარამეტრებს (რომლებიც, როგორც წესი, ციფრულ გამოხატულებაშია) არ სცილდება. კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლების დამუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც მინიმალურად და მაქსიმალურად დასაშვები საზღვრები, ასევე ე.წ. „დერეფანიც“ .

უნდა აღინიშნოს, რომ ეეუ შეფასების სისტემა, უპირველესად კი ინდიკატორები და პარამეტრები, მნიშვნელოვნად განსხვავდება ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონიდან, გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან, ერის მენტალიტეტიდან და სხვა - სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე.

ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და განვითარებული ქვეყნებისთვის ეეუ ფილოსოფია ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის (ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და სხვ. სფეროებში) მიღწევასა და ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას, ასევე გლობალური საფრთხეების (ტერორიზმი, სტიქიური მოვლენები, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და სხვ.) განეიტრალებას გულისხმობს. ამ ქვეყნებს ეეუ არსებული დონის შეფასების ანალოგიური ხედვა აქვთ, თუმცა საკმაოდ განსხვავებულია ეეუ უზრუნველყოფის მიღწევის კონკრეტული მეთოდები, ხერხები, გზები და რაც მთავარია - შესაძლებლობები. აშშ წლების მანძილზე ითვლებოდა მსოფლიოს ლიდერად ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო და ა.შ. სფეროებში. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება, თუ ეეუ შეფასების საკითხებს სწორედ ამ ქვეყნის მაგალითზე გავეცნობით.

აშშ მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად ინსტიტუციური რეფორმები განახორციელა: 1947 წელს მიიღო შესაბამისი კანონი და შექმნა სპეციალური სტრუქტურა - „ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭო“.

შემდგომ პერიოდში ეროვნული უსაფრთხოების, მათ შორის ეეუ, პრობლემების მეცნიერული კვლევა მსოფლიოში კიდევ უფრო გაფართოვდა, თუმცა აშშ ამ მხრივაც ლიდერად რჩებოდა. გამოქვეყნდა ამერიკელი პოლიტოლოგებისა და მეცნიერების მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები (უ. ლიმპანის, ჯ. რენერის რ. კენანის და სხვ.), სადაც განხილული იყო ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები. შეიძლება მკაფიოდ გამოვკვეთოთ ის ფაქტორები რომლებმაც გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინეს აშშ-ის, როგორც ზოგადად ეეუ კონცეფციის, ასევე მისი შეფასების სისტემის ფორმირებაზე. კერძოდ:

1.ათასწლეულების მანძილზე თავისუფალი საბაზრო სისტემის უნივერსალურობის თეორიის და ეკონომიკური კრიზისების თვითრეგულირების პრინციპების ოფიციალურ სახელმწიფო იდეოლოგიად აღიარებამ;

2.სხვა კონტინენტებიდან უზარმაზარი საზღვაო სივრცით დაცილებამ და ძლიერი აგრესორი მეზობლების არყოლამ (რამაც დამპყრობლური ომებისაგან დაიცვა ქვეყანა) ხელი შეუწყო აშშ-ის ადმინისტრაციის გლობალური - ტრანსოკეანური კატეგორიებით აზროვნების ჩამოყალიბებას და მაქსიმალურად დაიცვა ამერიკის საშინაო ბაზარი. ეკონომიკური გლობალიზაციის პიროებებში აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების უპირველეს კრიტერიუმად მიჩნეულია მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნება. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამერიკელებისთვის კონკურენტუნარიანობა - უცილობელი პირველობის სინონიმია და მისი არეალი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამჟამად ის მოიცავს არა მარტო სამხედრო პოლიტიკურ და საფინანსო-ეკონომიკურ, არამედ სამეცნიერო-ტექნიკურ, საინფორმაციო, კულტურულ, სპორტულ და სხვა სფეროებსაც. ამ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის და პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ობიექტური ფაქტორების შესწავლის შემდეგ უკვე გასაკვირი არ არის, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია ეკონომიკური უსაფრთხოების მხოლოდ გლობალურ პრიორიტეტებს სახავს და „ღია“ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეეუ შემდეგ ინდიკატორებს ანიჭებს უპირატესობას:

1.მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის განმტკიცება;

2. აშშ-ის შეუფერხებელი გასვლა მსოფლიოს, როგორც სანედლეულო, ასევე გასაღების ბაზრებზე;

3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გლობალური ეკონომიკური ზრდისათვის ხელშეწყობა.

როგორც ვხედავთ ზემოაღნიშნულ ეეუ პრიორიტეტულ ინდიკატორებში ადგილი არ მოიძებნა ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი „წვრილმანი“ საკითხებისათვის, როგორიცაა:

1.ექსტრემალური ვითარებისთვის (ტერაქტი, გლობალური სტიქიური მოვლენები და ა.შ.) დამახასითებელი საფინანსო-ეკონომიკური, ენერგეტიკული და სასურსათო პრობლემები;

2.კომპანიების გაკოტრება არაკეთილსინდისიერი მეწარმეობის მეთოდების გამოყენების გამო და ამის შედეგად წარმოქმნილი პანიკა საფონდო და სავალუტო ბაზრებზე („ენრონის“და ბერბარ მედოფის „საფინანსი პირამიდა“)

3.გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს „თვითრეგულირებადი'' საბაზრო მექანიზმებისა და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების ეფექტიანობის შესუსტება, რის გამოც ისინი ვერ უზრუნველყოფენ ცალკეული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილებელ დონეს;

4.ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ საკუთარ კორპორატიული ინტერესების სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა დაყენება და ა.შ. ამიტომაც იყო, რომ მრავალწლიანი თეორიული გათვლების, პრაქტიკული გამოცდილების და ასევე მრავალმილიარდიანი ხარჯების მიუხედავად, მსოფლიოს ზესახელმწიფო - აშშ უსუსური აღმოჩნდა ტერორისტების წინაშე. ტერაქტის შემდგომ თითქმის ორი კვირის მანძილზე აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურები და კერძო სექტორი პანიკასა და ქაოსში იმყოფებოდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ ფაქტიურად მოუმზადებელი აღმოჩნდა ტერაქტების შედეგად წარმოქმნილი საშინაო და საგარეო ეკონომიკური საფრთხეების ოპერატიულად გადაწყვეტისთვის. აშშ-ს ადმინისტრაცია და ამერიკელი ექსპერტები შორს იყვნენ იმ აზრისგან, რომ ოდესმე მშვიდობიან პერიოდში სურსათითა და პირველადი მოხმარების საქონლით ვაჭრობის ნორმირება მოუხდებოდათ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში. აშშ-ს ადმინისტრაციის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ

ნაკლები ყურადღება ექცეოდა ეკონომიკური უსაფრთხოების იმ საკითხებს, რომლებიც ამერიკელთა აზრით მხოლოდ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი. აშშ-დან პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის იმპულსები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელდა და, სამწუხაროდ, არც ევროპისა და აზიის სახელმწიფოები აღმოჩნდნენ მზად ამგვარი ეკონომიკური საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ტერაქტებმა მძლავრი უარყოფითი მუხტი მისცა მსოფლიოს გლობალურ ეკონომიკურ განვითარებას. კიდევ უფრო გაღრმავდა ეკონომიკური კრიზისი ცალკეულ ქვეყნებსა და დარგებში.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა გლობალურ ურთიერთობებში ახალ ფენომენს, საერთაშორისო ეკონომიკურ ტერორიზმს მისცეს დასაბამი. ამ მოვლენების შედეგად ტერაქტების ორგანიზატორებმა საკუთარი ტერორისტული მიზნების გარდა, უდიდეს ფინანსური მოგებას მიაღწიეს აქციების, ძვირფასი ლითონებისა და ვალუტის სპეკულაციით. ამიტომ, XXI საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ შეიძლება იქცეს გლობალური ეკონომიკური ტერორიზმი და ტრანსნაციონალური კორპორაციების არაკეთილსინდისიერი ბიზნესის შედეგად საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პროვოცირება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღეისათვის კერძო პირებისა და სხვდასხვა ორგანიზაციების ხელში არსებული ფინანსური, ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსები სავსებით საკმარისია საფონდო, სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე პანიკის („მართვადი ქაოსის“) შესაქმნელად, მაშინ გასაგებია, თუ რა საშიშროების წინაშე დგას კაცობრიობა, თუმცა ამ დროს გამორიცხული არ არის შემთხვევითობაც. ამ რეალური საფრთხის გასააზრებლად ერთ მაგალითს მოვიყვანთ.

2010 წლის 5 მაისს აშშ საფონდო ბაზრებმა 15 წუთში ერთი ტრილიონი დოლარი დაკარგეს. რამდენიმე წუთში ზოგიერთი კომპანიის აქციები 60-100%-ით გაუფასურდა. „დოუ-ჯონსის“ ინდექსი თითქმის 1000 პუნქტით დაეცა, რაც ამ საფონდო ინდექსის არსებობის ისტორიაში ერთდროული დაცემის რეკორდი იყო. პანიკამ მოიცვა ევროპისა და აზიის საფონდო ბაზრებიც. საფონდო ექსპერტების აზრით, ამ ქაოსის მიზეზი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საფინანსო ჯგუფის

“Citigroup”-ის რიგით ტირეიდერის მექანიკური შეცდომა იყო, რომელმაც ელექტრონული ვაჭრობის დროს 16 მილიონი დოლარის ნაცვლად 16 მილიარდი დოლარის ფიუჩერსების გაყიდვის ბრძანება გასცა (სიჩქარეში „ბილლიონ“ და „მილლიონ“ შეეშალა). მომავალშიც არავინაა დაზღვეული მსგავსი შეცდომებისგან, ამიტომ შემთხვევითი ან „მართვადი“ საფონდო პანიკის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ამგვარი საფრთხეების გასანეიტრალებელი საერთაშორისო მექანიზმების შექმნა.

ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების გაცნობა, გაანალიზება და ჩვენთვის მისაღები გადაწყვეტილებების გაზიარება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების არსებული დონის შეფასების მხრივ. გარდამავალი („ტრანზიტული“) ეკონომიკის ქვეყნებისთვის კი, ეეუ პირველ ეტაპზე სოციალისტური (ტოტალიტარული) ფორმიდან საბაზრო სისტემაზე გადასვლის პრობლემების დაძლევა, ხოლო შემდეგ კი, დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების მიღწევაა. ამ ქვეყნებისთვის ეეუ შეფასების პარამეტრების განსაზღვრის დროს პრიორიტეტული უნდა იყოს მაღალგანვითარებული ქვეყნების მიერ მიღწეული დონესთან შედარება. ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეეუ დამახასიათებელია ეკონომიკური საფრთხის შინაარსობრივად ძირითადად ერთგვაროვანი მაჩვენებლები, რომელთა შორის განსხვავება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონით, ასევე ეკონომიკური საფრთხის დროსა და სივრცეში ზემოქმედების მასშტაბებითა და სიძლიერის ხარისხით გამოიხატება. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და განვითარებული ქვეყნები ეეუ შეფასებისას გაცილებით ნაკლებ ინდიკატორებსა და პარამეტრებს იყენებენ, ვიდრე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. მიუხედავად აღნიშნულისა, შესაძლებელია ეეუ იმ ინდიკატორებისა და რაოდენობრივი (ხარისხობრივი) პარამეტრების ძირითადი სახეების განსაზღვრა, რომლებიც ყველა ქვეყნისთვის საერთო იქნება.[10]

[10] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASHfdfa9fd570df09c458b7b5.1.3&x=1

თავი III. საერთაშორისო კომპანიაში ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები და ხერხები

3.1. ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები

დღეს სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის 80-85% იქმნება კერძო სექტორში. ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა, ბაზრის მაღალი მონოპოლიზაცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა, მაკროეკონომიკური რეგულირების არასრულყოფილება, ეროვნული ვალუტის არაკონვერტირებადობა, სოციალური პრობლემები: მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე და უმუშევრობა, სულ უფრო აქტუალურს ხდის ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემას. კერძო მეწარმეობის მნიშვნელობისა და მაშტაბებიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ეროვნულ უშიშროების განუყოფელი ნაწილია. მცირე ბიზნესს ფუნქციონირება უხდება მაკრო და მიკრო ეკონომიკური გარემოს ექსტემალურ პირობებში. მეწარმეების უმრავლესობა საკუთარი მწარე გამოცდილებით იძენს ბიზნესის წარმართვის უნარჩვევებს.

ბიზნეს-ობიექტის უსაფრთხოების საიმედო სისტემის შესაქმნელად გასატარებელია მოსამზადებელი ღონისძიებების კომპლექსი. თავდაპირველად საჭიროა საწარმოს გარშემო არსებული სიტუაციის შეფასება. საბაზრო გარემოს ანალიზი როგორც მაკრო და რეგიონალური, ასევე პარტნიორებისა და კონკურენტების დონეებზე. სოციალური გარემოს შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მრავალი მომენტი: პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში და რეგიონში. სახელმწიფო მართვის სტრუქტურების მიერ გასატარებელი პოლიტიკის განჭვრეტა, საბაზრო ინფრასტრუქტურის, სამართლებრივი ბაზის, მატერიალურ-სანედლეულო, ენერგეტიკული და შრომითი რესურსების მდგომარეობა, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ვითარება, ფასების დონე, გამოშვებული პროდუქციის კონკურეტუნარიანობა, საქმიანი კონტაქტების დამყარების შესაძლებლობები, რეალური თუ პოტენციური კონკურენტების არსებობა და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პარტნიორებს, მათ საქმიან კავშირებს გადახდისუნარიანობისა და საქმიანი რენომეს შესწავლას.

ბიზნესზე მოქმედი საფრთხეების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით.[11]

1. წარმოსობის წყაროს მიხედვით: შიდა და გარე. შიდას განეკუთვნება თანამშრომლების მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, დასაქმებულების დაბალი კვალიფიკაცია, უსაფრთხოების დანაყოფის თანამშრომლების ნაკლებადეფექტური მუშაობა. გარეს - საწარმოო შპიონაჟი, ქურდობები, კონკურენტების არაკანონიერი ქმედებები, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მაღალი მაშტაბების პირობებში არსებული გამოძალვები სხვადასხვა ოფიციალური თუ კრიმინალური სტრუქტურების მხრიდან.
2. შედეგის სიმძიმის ხარისხის მიხედვით საფრთხეები: მაღალი, მნიშვნელოვანი, საშუალო და დაბალი სიმძიმის.

საფრთხის მაღალი სიმძიმე ნიშნავს, რომ მას შეუძლია გამოიწვიოს ბიზნეს სუბიექტის ყველა ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესება, რასაც მოჰყვება მისი საქმიანობის მყისეული შეჩერება და ფირმის ლიკვიდაციაც კი.

საფრთხის მნიშვნელოვანი სიმძიმე, ნიშნავს ისეთი ფინანსური თუ სხვა ზიანის მიყენებას, რაც ნეგატიურად იმოქმედებს ძირითად ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და სამომავლო მოღვაწეობაზე. აღნიშნული შედეგების დაძლევა შესაძლებელი იქნება დროის ხანგრძლივ პერიოდში.

საშუალო სიმძიმის საფრთხის ზემოქმედების შედეგების დაძლევა საჭიროებს დანახარჯებს, რომლებიც მიმდინარე ხარჯების ტოლია.

მსუბუქი სიმძიმის საფრთხე არ ახდენს არსებით გავლენას ფირმის არც სტრატეგიულ პოზიციებზე და არც მიმდინარე მოღვაწეობაზე.

3. მოხდენის ალბათობის მიხედვით საფრთხეები შეიძლება იყოს ნაკლებად რეალური და რეალური. ნაკლებად რეალურია მაგალითად, უცხო პიროვნების მხრიდან მუქარა მისი ფირმაში სტუმრობისას. რეალურ საფრთხეს განეკუთვნება ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების მიერ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა. ფირმის ხელმზღვანელობისა თუ თანამშრომლების მოტაცება შესაბამისი მოთხოვნების წაყენებით.

[11] Бекряшев А.К., Белозёров И.П., Бекряшева Н.С. «Теневая экономика и экономическая преступность» Электронный учебник: kiev-security.ua 2003

4. საფრთხეები განსხვავდება ბიზნესზე მოღვაწეობის სტადიებზე ზემოქმედების მიხედვით. განსაკუთრებით სახიფათოა მუქარა თუ ის ხორციელდება ფირმის შექმნისა და ფუნქციონირების პერიოდში. პირველ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს თანამდებობის პირების მიერ არაკანონიერი ქმედებები ფირმის შექმნისათვის. ფუნქციონირების სტადიაზე კი ფირმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა, არალეგალური გადასახადების მოთხოვნა კრიმინალების მიერ.
5. ხელყოფის ობიექტის მიხედვით. ხელყოფის ობიექტი შეიძლება გახდეს რესურსები: შრომითი, მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული. პერსონალზე მუქარა შეიძლება განხორციელდეს შანტაჟის გზით, კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებისა თუ გამოსყიდვის მიზნით მოტაცება. მუქარა მატერიალურ რესურსებზე - შენობების, ნეგებობების, მოწყობილობების, კავშირგაბმულობის სისტემის დაზიანება. მუქარა ფინანსურ რესურსებზე, მათი მოპარვა, ფინანსური დოკუმენტების გაყალბება, სხვადასხვა თაღლითობები.
6. წარმოშობის სუბიექტის მიხედვით, საფრთხე შიძლება მოდიოდეს:

- კრიმინალური სტრუქტურების მხრიდან;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენტების მხრიდან;
- კონტრაგენტების მხრიდან;
- სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან;
- საკუთარი თანამშრომლების მხრიდან;

7. ზარალის სახეების მიხედვით. მუქარა, რომლის რეალიზაციას მოაქვს პირდაპირი ზარალი და მუქარა, რომელიც ხელს უწყობს დაგეგმილი მოგების ხელიდან გაშვებას.

ბიზნეს-ობიექტის უსაფრთხოება ნიშნავს მის დაცვას გარე და შიდა საშიშროებისაგან, რაც საშუალებას იძლევა ეფექტურად იქნეს გამოყენებული მისი მატერიალური, ფინანსური და საკადრო პოტენციალი. უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა გულისხმობს სამართლებრივი, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, სპეციალურ-ტექნიკური, რეჟიმული ღონისძიებების კომპლექსს, მიმართულს ობიექტის გარე და შიდა

საფრთხეებისაგან დასაცავად. უსაფრთხოების უზრუნველყოფა საჭიროებს კომპლექსურ, სისტემურ მიდგომას, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ქვესისტემებს.[12]

ეკონომიკური უსაფრთხოებას, ინფორმაციული უსაფრთხოებას, ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას, ფიზიკურ უსაფრთხოებას, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ უსაფრთხოებას, სახანძრო უსაფრთხოებას, ტექნოლოგიურ უსაფრთხოებას, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და სხვა. კონკრეტული ობიექტის უსაფრთხოების სისტემის შეფასება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე:

- ოგრანიზაციული კუთხით. მისი ქვედანაყოფების (საწარმოო, საფინანსო, ბუღალტერია, მარკეტინგის სამსახური) ნორმალური ფუნქციონირება;
- სამართლებრივი. ფირმის მოღვაწეობა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. მაკონტროლებლებს თუ სამართალდამცავებს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია მასთან;
- ინფორმაციული. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცულობა სხვადასხვა ფორმებით;
- ეკონომიკური. სტაბილური ან მზარდი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები;

მოსამზადებელ ეტაპზე შეისწავლება არა მარტო გარემომცველი გარემო არამედ თავად საწარმოს მდგომარეობა. საწარმოო პროცესის უზრუნველყოფა სხვადასხვა რესურსებით, საწარმოს სტრუქტურული ობიექტების დაცულობის ხარისხი, საკადრო პოტენციალის საიმედოობა, ფინანსური, ინფორმაციული, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, ინტელექტუალური, პოლიტიკურ სამართლებრივი და ეკონომიკური უსაფრთხოების ძალოვანი შემადგენლის მდგომარეობა.

ისევე როგორც მაკრო ეკონომიკურ დონეზე, მიკრო დონეზეც ობიექტის ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასება ხდება ინდიკატორების საშუალებით, ძირითადი ინდიკატორები შეიძლება გაერთიანდეს შემდეგ ჯგუფებში:[13]

წარმოების ინდიკატორები :

---

[12] Мак-Мак В.П. «Служба безопасности предприятия. Организационно-управленческие и правовые аспекты деятельности. – М. Мир безопасности. 1999. Ст. 10-11

[13] Бендиков М.А. «Экономическая безопасность промышленного предприятия» http:www.nosorog.com/public/safety/html

- ნაწარმის კონკურენტუნარიანობის შემოწმება;
- წარმოების მაშტაბები;
- სამეცნიერო კვლევების მოცულობა, მათი წილი საერთო საქმეში.

ფინანსური ინდიკატორები:

- ინვესტიციური აქტიურობის დონე;

შეკვეთების „პორთფელის“ მოცულობა;

- ბიზნესის რენტაბელურობის დონე;
- დავალიანების მოცულობა;
- ბიზნესის რენტაბელურობის დონე;
- დავალიანების მოცულობა.

სოციალური ინდიკატორები:

- შრომის ანაზღაურება, საშუალო ხელფასთან შეფარდებით;
- სახელფასო დავალიანების სიდიდე;
- სამუშაო დროის დანაკარგები;
- საკადრო პოტენციალი მისი სტრუქტურა და ასაკობრივი კვალიფიკაცია;

ობიექტის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე ითვლება:

ა) ნორმალურად, როცა ყველა ინდიკატორი დასაშვებ საზღვრებშია;

ბ) ნაკლებად კრიზისულად, როცა ერთ-ერთი სცილდება, დანარჩენი დასაშვებ საზღვრებშია;

გ) კრიზისულად, როცა უმეტესი ინდიკატორი აჭარბებს დასაშვებ ზღვარს;

დ) კრიტიკულად, როცა ყველა ინდიკატორი აჭარბებს ზღვარს.

მიღებული ფართო ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება ბიზნეს - ობიექტის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. სამეცნიერო ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მიდგომები.[1414] ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია ესაა სტრატეგია, ერთიანი შეხედულებების, მიმართულებების,

ღონისძიებების სისტება, ბიზნესის წარმატების უზრუნველყოფის მიზნით. ობიექტის ეკონომიკური უსაფრთხოებების კონცეფცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

1. პრობლემური სიტუაციის ანალიზი და ფორმულირება:

[14] Ярочкин В.И. «Система безопасности фирмы – М. Ось – 89, 1997

- გარემომცველი სოციალური გარემოს მდგომარეობის განსაზრვრა;
- ბიზნეს ობიექტის მდგომარეობის ანალიზი, მისი ფინანსური, რესურსული, საკადრო და ინტელექტუალური პოტენციალის შესაძლებლობები და სხვა.
- პოტენციური და რეალური საფრთხეების დადგენა, მათი რანჟირება მნიშვნელობის მიხედვით
- საფრთხეების წარმომშობი მიზეზებისა და ფაქტორების განსაზღვრა;
- შესაძლო ნეგატიური შედეგების პროგნოზირება, ზარალის გაანგარიშება;

2. უსაფრთხოების მიზნობრივი მიმართულებების განსაზღვრა:

- უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის ფორმულირება
- უსაფრთხოების მიზნების განსაზღვრა;
- სტრატეგიის შერჩეული ტიპისა და ფორმულირებული პოლიტიკის ხელშემწყობი ამოცანის დასმა;

3. ბიზნეს ობიექტის ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შედგენა:

- უსაფრთხოების სისტემის ფუნქციების ფორმულირება, პრიციპების შერჩევა;
- უსაფრთხოების ობიექტების განსაზღვრა, მათი დაცულობის დგომარეობის ანალიზი;
- უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ორგანოების ფორმირება;
- უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მექანიზმების სემუშავება;
- უსაფრთხოების სისტემის მართვის ორგანიზაციუული საფუზვლების შექმნა.

4. ბიზნეს-ობიექტის ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების მეთოდიკის შემუშავება:

- ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის მაჩვენებელი კრიტერიუმების განსაზღვრა;
- ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების მეთოდების შერჩევა;
- რისკისა და ანალიზის მეთოდების სისტემის ფორმირება.

5. უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა:

- საჭირო მატერიალ-ტექნიკური, ენერგეტიკული და სხვა რესურსების დადგენა;
- ადამიანისეული რესურსების შენახვისა და შრომის სტიმულირებისათვის აუცილებელი ხარჯების განსაზღვრა;

- საჭირო ფინანსური დანახარჯების განსაზღვრა;
- აუცილებელი დანახარჯების საფრთხის შედეგად მიყენებულ შესაძლო ზარალთან შედარება;

6. უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციის ღონისძიებების შემუშავება:

- კონცეფციის რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობების განსაზღვრა;
- კონცეფციის რესურსული უზრუნველყოფის წყაროების დაუფლება;
- კონცეფციის რეალიზაციის ფინანსური საშუალებების გამოყოფა;
- კონცეფციის განსაზღვრული პრინციპების გადაწყვეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- უსაფრთხოების სამსახურისათვის პროფესიონალი კადრების მომზადება. ასევე ფირმის თანამშრომლები კვალიფიკაციის ამაღლება; უსაფრთხოების წესების დაცვაზე, საგანგებო მდგომარეობაში მოქმედებებზე, საშვითი რეჟიმის წესებზე, საიდუმლო გრიფიან დოკუმენტებთან მუშაობის წესებზე, კომერციული საიდუმლოებების დაცვაზე და სხვა.
- ობიექტის უსაფრთხოების სამსახურის შექმნა და მისი მენეჯმენტის ორგანიზაცია;
- დაცვის ტექნიკური საშუალებების დაყენება;
- კონცეფციის ძირითადი მიმართულებების შესრულებაზე კონტროლი;
- უსაფრთხოების სისტემის მუდმივი სრულყოფა, ცვალებად პიროვნებეთან ადაპტაცია, მისი მუშაობის ფორმებიდა და მეთოდების დახვეწა.

7. ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტურობის შეფასება. უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპების დაცვის საფუძველზე:

- კანონიერება:
- მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა;
- კომპეტენტურობა;
- კონფიდენციალურობა;
- სახელწიფო სამართალდამცავ ორგანოებთან კორდინაცია, საჭიროების შემთხვევაში საშუალებების კომპლექსური გამოყენება;

ობიექტის ეფექტური და ხარისხიანი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი კრიტერიუმია მისი ეკონომიკური და ფინანსური განვითარების სტაბილურობა. სტრატეგიული გეგმისა და ამოცანების მიხედვით.

ბიზნესის უსაფრთხოების სისტემის ძირითადი ქვესისტემებია:

- ბიზნეს დაზვერვა:
- შიდა უსაფრთხოება;
- შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება;
- პერსონალის ფიზიკური უსაფრთხოება;
- ტექნიკური უსაფრთხოება;
- კავშირგაბმულობის უსაფრთხოება;
- კომპიუტერული უსაფრთხოება;
- კომერციული საიდუმლოებების დაცვა;
- ფსიქოლოგიური უსაფრთხოება;
- ხარძარ საწინააღმდეგო უსაფრთხოება;
- გადაზიდვების უსაფრთხოება;
- ინფორმაციულ-ანალიტიკური უსაფრთხოება

უსაფრთხოების საერთო სისტემაში ბიზნეს დაზვერვის ქვესისტემა არის პრიორიტეტული. იგი მიმართულია ობიექტის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფისკენ. აღნიშნული ქვესისტემის ამოცანაა, ინფორმაციის დროული მოპოვება, რათა ობიექტის ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს ოპერატიული ამოცანებისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისი რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილებები.

დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში უსაფრთხოების უზრუნველმყოფ სახელწიფო ინსტიტუტებთან ერთად არსებობს არასახელმწიფო ინსტიტუტები: კერძო სამძებრო და დეტექტიური ორგანიზაციები, საინფორმაციო სააგენტოები, სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო დაწესებულებები, რომლებიც შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე აწარმოებენ სხვადასხვა მომსახურებას: ობიექტის კომერციული საიდუმლოების დაცვას, კონკურენტებისა და კონტრაქტის დამდები პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს, არასაიმედო პარტნიორების გამოვლენას და სხვა. მსოფლიო გამოცდილებით სწორედ არასახელმწიფო

ორგანიზაციებზე მოდის ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი დატვირთვა. მაგალითად, აშშ-ში კერძო უსაფრთხოების სტრუქტურების საერთო ბიუჯეტი 50%-ით მეტია სახელმწიფო პოლიციის ბიუჯეტზე. ინგლისში კერძო უსაფრთხოების სტრუქტურებში დასაქმებულების რაოდენობა 2-ჯერ აღემატება სახელმწიფო პოლიციის თანამშრომლების რაოდენობას. 5 მილიონიანი მოსახლეობის ისრაელში არის 2 ათასი კერძო დეტექტივური და დაცვითი კომპანია.[15]

დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში კერძო უსაფრთხოების სტრუქტურების მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერია. დახვეწილია სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების კერძო სამსახურების კოორდინაციის საკითხები.[16] შექმნილი სპეციალური ორგანო, საჭიროების შემთხვევაში ახდენს მათი საქმიანობის კოორდინაციას. ისეთ პრობლემებზე როგორიცაა:

- ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა;
- ოპერატიული ძალებისა და საშუალებების ერთობლივი გამოყენება;
- კადრების მომზადება, გადამზადება და სხვა.

ბიზნეს უსაფრთოებისთვის საჭიროა სახელმწიფო და კერძო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების სამართლებრივი დარეგულირება, კომპეტენციის, უფლებებისა და მოვალეობების საკანონმდებლო გამიჯვნა. არაა მიღებული კანონები კერძო დეტექტივის, კომერციული და ამსახურებრივი საიდუმლოების შესახებ. არ არსეობს ახალ სპეციალობაზე სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი, ჩვენს რეალობას მისადაგებული სამეცნიერო სკოლა და მეთოდოლოგიური ბაზა.

უნდა შეიქმას სპეციალური სამეცნიერო ცენტრი, სადაც ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით დამუშავდება ახალი სამეცნიერო-მეთოდური მიდგომები კერძო უსაფრთხოების პრობლემებზე. უკვე დღის წესრიგში დგას და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება ამ სფეროს საჭირო კადრებით უზრუნველყოფის პრობლემა. ამ მხრივაც საზღვარგარეთ არსებობს მდიდარი გამოცდილება, სადაც გასული საუკუნის 60-იან წლებიდან ფუნქციონირებს კერძო უსაფრთხოების კადრების მომზადების სისტემა. მაგალითად, აშშ-ში 15 ასეთი კოლეჯი არსებობს, რომელთაგან 5 იძლევა მაგისტრის ხარისხ. ისინი აღჭურვილნი არიან დახვეწილი სასწავლო პროგრამებითა

[15] Тарас А.Э., Безопасность бизнесмена и бизнеса, Минск: «Сэкаи» ,1996 ст. - 203

[16] Шаваев А.Г., «Система борьбы с экономической разведкой, М. Правовое просвещение. 2000 ст. 103

და მეთოდური გეგმებით. საჭირო სპეც ლიტერატურითა და ტექნიკური საშუალებებით, სასწავლებლის კურსანტები გადიან პრაქტიკას კერძო ობიექტებზე და სხვა.[17]

კომერციული საიდუმლოება არის განზრახ დაფარული ინფორმაცია, რომლის დაცვა განპირობებულია კონკრეტული ინტერესებისთ. არსებობს სახელწიფო და კომერციული საიდუმლოება. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო. კომერციულს კი ბიზნეს-ობიექტის უსაფრთხოების სამსახური. ექსპერტული შეფასებებით ამერიკული ბიზნესისი ზარალი კომერციული საიდუმლოების გაჟონვის შედეგად ათ მილიარდ დოლარს აჭარბებს.[18]

ორგანიზაციები, მათი ინფორმაციული სისტემები და ქსელები უშუალოდ დგანან ისეთი საფრთხეების პირისპირ, როგორებიცაა კომპიუტერული თაღლითობა, შპიონაჟი, საბოტაჟი, ვანდალიზმი, ხანძარი ან წყალდიდობა. მავნე კოდის შემცველი პროგრამები, კომპიუტერული ჰაკერობა, კომპიუტერულ პროგრამაზე თავდასხმა მომხმარებლისთვის სერვისის შეფერხებით მიწოდების მიზნით უფრო და უფრო დახვეწილი ხერხებით ხორციელდება და ასეთი ქმედებებიდან გამოწვეული ზარალი სულ უფრო იზრდება.

ბოლო დროს საქართველოში გახმაურებულია თაღლითური სქემა და ერთ ღამეში განხორციელებული საეჭვო საბარათე გადარიცხვები. თიბისი ბანკის არაერთ კლიენტს თანხები ჩამოეჭრა და აჭარა ბეთის საიტზე გადაირიცხა, გადარიცხვები იმ დროს განხორციელდა როდესაც თითქმის ყველას ეძინა, სწორედ ამიტომ ბანკმა საეჭვოდ მიიჩნია ეს გადარიცხვები და საკუთარი კლიენტების ბარათები დაბლოკა. იმ მომხმარებლებს ვისაც დაზღვეული ჰქონდა ბარათი, გამოძიებით თუ დადგინდა რომ მომხმარებლის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა ტრანსაქციების განხორციელება, ბანკი სრულად დააბრუნებს თანხას. ის მომხმარებლები ვისი ბარათებიც დაზღვეული არ იყო თანხის გარეშე დარჩნენ. კიბერშეტევა საბანკო ანგარიშებზე, გასულ წლებშიც დაფიქსირდა, მაშინ სამიზნე საქართველოს ბანკი იყო. ბანკმა სრულად მოიხსნა პასუხისმგებლობა და მხოლოდ სიფრთხილისკენ მოუწოდა მომხმარებლებს. თი ბი სი ბანკმაც გაფრთხილებით მიმართა მომხმარებლებს, რომ არ შეიყვანონ საკუთარი პირადი მონაცემები საეჭვო ვებგვერდებზე, მხოლოდ ამ

[17] Крысин А.В. «Безопасность предпринимательской деятельности в США – М.: ИНФРА, си 41-42
[18] Соловьев Э. «Коммерческая тайна» М. 1996 – ст. 64

შემთხვევაში შეიძლება რისკების მინიმუმამდე დაყვანს. ექპერტები კიბერ უსაფრთხოების საკითხებში მიიჩნევენ რომ საქართველოში კიბერ ჰიგიენა დაცული არ არის სწორედ ამიტომ უცხოელი ჰაკერებისთვის საქართველო საინტერესო ბაზარია.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო უმძიმეს შედეგამდე მივდივართ. ასე მაგალითად გასულ წლებში, ქალაქ ბათუმში არსებული სასტუმრო ლეო გრანდი, რომელიც 5-ვარსკვლავიანია და მისი მშენებლობისთვის 40 მილიონი დოლარის ინვესტიციაა განხორციელებული, 2017 წლის 24 ნოემბერს ძლიერი ხანძარი გაჩნდა. სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის გამო ხანძრის შედეგად გარდაიცვალა 12 ადამიანი. კიბე რომელიც შენობაში იყო, ვერ აკმაყოფილებდა სახანძრო უსაფრთხოების მინიმალურ ნორმებსაც კი შესაბამისად საგანგებო სიტუაციის შექმნის დროს მისი გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მომხდარი ფაქტის შემდგომ სახელმწიფომ გაამკაცრა მიდგომა უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით.

3.2 ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მენეჯმენტი

კონკურენციის და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ბიზნესის მართვა მოგებასთან ერთად საკმაოდ სახიფათოა. წარმატებული მოღვაწეობისთვის თითოეული ობიექტი მიმართავს სპეციალურ ღონისძიებებს საკუთარი ბიზნესის გარე და შიგა საფრთხეებისგან დასაცავად. შედეგად, ბიზნესის უსაფრთხოება მენეჯმენტის ერთ-ერთი სახეობაა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ვიწრო სპეციალიზაცია. მაგალითად, საბანკო და ფულად-საკრედიტო სფეროში. ვაჭრობის სფეროში. მოკვლევები სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

კონკრეტული ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების მიხედვით, არსებული საფრთხეების შესაბამისად, უნდა განისაზღვროს უსაფრთხოების მიზნები და ამოცანები. თითოეული ობიექტის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით დამუშავდეს და დაინერგოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ, რეჟიმულ, ტექნიკურ, ინფორმაციულ და სხვა ღონისძიებათა სპექტრს.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის ამოცანებია:

- ობიექტისა და მისი თანამშრომლების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

- პარტნიორების, კლიენტებისა და კონკურენტების შესწავლა, მათი მხრიდან არაჯანსაღი კონკურენციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა;

- თანამშრომლების მხრიდან შესაძლო საფრთხის დროული გამოვლენა;

- ბაზრის კრიმინალური ასპექტების შესწავლა. ჩრდილოვანი ეკონომიკის მდგომარეობა და მისი გავლენა ბაზარზე;

- ობიექტზე ეკონომიკური შპიონაჟისა და ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურების შეღწევის აღკვეთა;

- საქმიანი გარიგებისა და კონტრაქტის დამდები პიროვნების შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;

- საქმიანი მოლაპარაკების წარმოებისას ხელმძღვანელობისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება:

- დაგეგმილ ღონისძიებებზე საჭირო კონფიდენციალობის უზრუნველყოფა;

- მენეჯერებსა და პერსონალში უსაფრთხოების საკითხებზე საჭირო კონსულტაციების ჩატარება;

- კომერციული საიდუმლოების შემადგენელი ფასეულობებისა და ინფორმაციების დაცვის საიმედო რეჟიმით უზრუნველყოფა;

- შიდა კონტროლის ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დანაყოფის მიერ თანამშრომლების საეჭვო გადაწყვეტილებების სწრაფ და ეფექტურ გადასინჯვას;

- პრემიალური სისტემის დანერგვა კეთილსინდისიერი თანამშრომლებისათვის;

- შენობა-ნაგებობების, ტერიტორიისა და სატრანსპორტო საშუალებების ფიზიკური და ტექნიკური დაცვა;

- უსაფრთხოების სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე კონტროლი.

აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად უნდა შეიქმნას უსაფრთხოების სპეციალური სამსახური რომელიც დაემორჩილება მხოლოდ ტოპ მენეჯერს. მისი სტრუქტურა და თანამშრომლების რაოდენობა დამოკიდებულია, ერთი მხრივ,

ბიზნეს ობიექტის მასშტაბებზე, მეორე მხრივ, კი შესასრულებები სამუშაოს სირთულეზე. მაგალითად მოსაპოვებელი ან დასაცავი ინფორმაციის კონფიდენციალურობის ხარისხზე. შესაბამისად, კონკრეტული ობიექტის უსაფრთხოების სამსახური შეიძლება შედგებოდეს დაწყებული შეთავსებით მომუშავე 2-3 თანამშრომლით, დამთავრებული რამდენიმე დანაყოფისაგან შემდგარი სრულყოფილი სამსახურით. დასავლეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებით საშუალო მასშტაბის ფირმის უსაფრთხოების სამსახური ძირითადად შედგება 4 დანაყოფისაგან: 1. დაცვის; 2. ოპერატიული; 3.ინფორმაციულ-ანალიტიკური; 4.ტექნიკური. თითოეულში, მოცემული ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება დასაქმდეს ორიდან თხუთმეტამდე თანამშრომელი.[19]

დაცვის დანაყოფის ფუნქციებში შედია შენობა-ნაგებობების , მოწყობილობების და კომუნიკაციების, საიდუმლო დოკუმენტაციის, ფინანსური და სხვა ფასეულობების დაცვა. ტრანსპორტირებისა და გადაზიდვების დაცვა, საშვითი რეჟიმის ორგანიზება. მომწოდებლებისა და ობიექტზე შემავალი სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი. რეჟიმული უზრუნველყოფის ღონისძიებების დარღვევის გამოვლენა. ინფორმაციის გაჟონვის უარყოფითი შედეგების და სხვა საგანგებო შემთხვევების ლოკალლიზაცია და ლიკვიდაცია. ობიექტის ხელმძღვანელობისა და თანამსრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლებიც თავისი მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება დაიყოს:

- კულტურულ-გასართობი წარმოდგენები, სხვადასხვა კონცერტები, სადღესასწაულო შეხვედრები, სპორტული შეჯიბრებები;

- სარეკლამო-კომერციული ბაზრობები, პრეზენტაციები, გამოფენა-გაყიდვები;

- საქმიანი შეხვედრები, ბიზნეს- პარტნიორების, აქციონერების შეხვედრები;

- სხვა მასიური ღონისძიებები : ბანკეტები, იუბილეები, ქორწილი, გასვენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ამ განყოფილების თანამშრომლებისადმი წაყენებული ფუნქციონალური მოთხოვნები საკმაოდ განსხვავებულია. მაგალითად, ობიექტების ფიზიკური დაცვა ხორციელდება ძირითადად ორი მიმართულებით: შენობა-ნაგებობების და ხელმძღვანელობის დაცვა. თუ პირველი მიმართულების

[19] Тарас А.Э., Безопасность бизнесмена и бизнеса, Минск: «Сэкаи» ,1996 ст. - 203

უზრუნველყოფისათვის საჭიროა საშუალო ფიზიკური მომზადებისა და ზოგადი კვალიფიკაციის მცველი. მეორე მიმართულებას ესაჭიროება პირადი მცველი.

1. **ოპერატიული დანაყოფის** ძირითად ფუნქციებში შედის: სპეციალური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება. საჭირო ოპერატიული ინფორმაციის შეგროვება, რეალური და პოტენციური კონკურენტების შესწავლა და სხვა. აღნიშნული დანაყოფის სპეციალისტს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია შემდეგ სფეროებში:

- დაზვერვისა და კონტდაზვერვის საფუძვლები;
- სოციალური ფსიქოლოგია და პიროვნების ფსიქოლოგია;
- საბანკო საქმის საფუძვლები და ბუღალტერული აღრიცხვა;
- მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები;
- სამოქალაქო და სისხლის სამართალი.

2.ინფორმაციულ-ანალიტიკური დანაყოფი ბიზნეს ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებში ძირითადი აქცენტი გადატანილია დაცვის და რეჟიმული უზრუნველყოფის ღონისძიებებზე. ბაზრის მაღალი მონოპოლიზაციის პირობებში, ნაკლები მოთხოვნილებაა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინფორმაციულ-ანალიტიკურ შემადგენელზე. მოწინავე ქვეყნების გამოცილებით, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უსაფრთხოების სტრუქტურებში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და წამყვანი მიმართულებაა ანალიტიკური სამსახური, რომელიც კოორდინაციას უწევს დანარჩენი სამი დანაყოფის მუშაობას, უზრუნველყოფს რა მათ, საჭირო, გადამუშავებული ინფორმაციით.

ინფორმაციულ-ანალიტიკური დანაყოფი უნდა ფლობდეს შემდეგ მონაცემებს, ძირითადად, კონკურენტების შესახებ:

1. ინფორმაცია ბაზრის შესახებ;
2. ინფორმაციაა პროდუქციის წარმოებაზე;
3. ინფორმაცია ფინანსებისა და ორგანიზაციული თავისებურებების

სესახებ.[19]

4. ტექნიკური დაცვის დანაყოფის ფუნქციებში შედის ობიექტის აღჭურვა ტექნიკური საშუალებებით. ინფორმაციის გაჟონვის ტექნიკური არხების გამოვლენა

და სხვა. საიდუმლო ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის მოპოვება ხდება სპეცტექნიკის საშუალებით.

ობიექტის ტექნიკური დაცვის ელემენტებს განეკუთვნება: კავშირგაბმულობისა და ვიდეოდაკვირვების საშუალებები, სახანძრო სიგნალიზაცია, განათება, ობიექტის პერიმეტრის აღჭურვა სპეცსაშუალებებით, ჩამკეტი მოწყობილობებით.

პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლიათ პირად მცველებს, რომლებიც გამოირცევიან მაღალი მორალური თვისებებით. კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი აზროვნებით და გაბედული ქმედებებით. ისინი კარგად უნდა იყვნენ ფიზიკურად განვიტარებულნი, დასაცავ სუბიექტთან და მისი ოჯახის წევრებთან ფსიქოლოგიურად თავსებადი და ამ სამსახურისთვის პროფესიულად მომზადებული.

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია ,,Oxfam'' მოქმედებს ჰუმანიტარული სტანდარტების მიხედვით, რაც განსაზღვრავს როგორც პროექტის იმპლემენტაციის მოდალობას, ასევე ყველა სხვა დამხმარე ფუნქციის განხორციელების არეალს, მათ შორის უსაფრთხოებას. ძირითადი ჰუმანიტარული სტანდარტი ხარისხისა და ანგარიშვალდებულების შესახებ მოიცავს 9 სტანდარტს, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია სტანდარტები ბენეფიციარ თემებთან მუშაობის შესახებ. წარმოდგენილია სხვადასხვა მაგალითები უსაფრთხოების რამოდენიმე კატეგორიის მიხედვით.

ფიზიკური უსაფრთხოება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლიქტის ზონებში მუშაობისას, კერძოდ ისეთ ქვეყნებში როგორიცაა მაგალითად, სირია, იემენი, ავღანეთი და ასე შემდეგ. სხვა კერძო კორპორაციებისგან განსხვავებით, ჰუმანიტარული ორგანიზაციების მანდატი არ გულისხმობს მკაცრად შეიარაღებული ტექნიკისა და თავდაცვის გამოყენებას, მაგალითად როგორიცაა კერძო უსაფრთხოების კომპანიების სერვისი, არამედ, ჰუმანიტარული პრინციპების მიხედვით, მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა ხდება უშუალოდ მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობით. თითოეული პროექტის დაწყებამდე ხდება მოსახლეობასთან შეხვედრა, განხილვა თუ რა ტიპის დახმარებაა საჭირო და შემდეგ გადაწყვეტა თუ როგორ მოხდება ამ დახმარების უზრუნველყოფა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ როგორც წესი თანამშრომლების ბაზა

დაკომპლექტებულია ადგილობრივი პერსონალით, რაც იძლევა დამატებით საშუალებას რომ უსაფრთხოების ზომები იყოს გათვალისწინებული.

ფინანსური უსაფრთხოების კუთხით საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები დგანან ისეთივე რისკის წინაშე როგორც სხვა კერძო ორგანიზაციები, მაგალითად არსებობს თანხისა და დამხმარე საშუალებების მოპარვის, მითვისების და კორუფციის რისკი. ერთის მხრივ ამ რისკისაგ თავის დასაცავად ჰუმანიტარულ ორგანიზაციებში მუშაობს რისკისა და აუდიტის სამსახურის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს თანხის განკარგვის ადმინისტრირების საერთაშორისო დონორებისა ან ორგანიზაციის შიდა სტანდარტებთან შეთავსებულობას. გარდა ამისა ზემოთ ხსენებული სტანდარტების მიხედვით, საერთასორისო ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს ბენეფიციარ მოსახლეობასთან რეგულარული კავშირი და უკუკავშირისთვის გზების გამოყოფა, რათა მოსახლეობამ შეძლოს ხმა მიაწვდინოს ორგანიზაციას იმ შემთხვევაში თუ ხდება თანხების გაფლანგვა ან რაიმე სხვა ნეგატიური შემთხვევა. როგორც წესი, მსგავს გზებს წარმოაგდენს მაგალითად უფასო ცხელი ხაზი, შენიშვნებისთვის განკუთვნილი წერილობითი ყუთი და სხვა.

გასული წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციებში განსაკუთრებით ყურადსაღები გახდა ასევე სექსუალური შევიწროების ფაქტები, მაგალითად ოქსფამის მიერ ჰაიტის დახმარების დროს გამოაშკარავებული შემთხვევაბი. მსგავსი შემთხვევების მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციებშიარსებობს ნულოვანი ტოლერანტობა, რაც გამოხატულია სხვადასხვა პროტოკოლებსა და სტანდარტებში, ასევე პროცედურებში რომლითაც ხდება მსგავსი შემთხვევების გამოვლენა, რეპორტინგი და გამოძიება. ამ ფაქტის მერე ოქსფამის მთავარი ნეგატივი იყო რეპუტაციის შელახვა.

დასკვნა

მე-20 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, ის დაკავშირებულია გლობალიზაციასთან და გულისხმობს ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, რომელიც ეფუძნება ღია, საბაზრო ეკონომიკისა და პოლიტიკური დემოკრატიის პრინციპებს. ტრაგიკული შედეგი აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომი, რომლის ეკონომიკური შედეგები: ინფლაცია, ეკონომიკური დაცემა, უმუშევრობა გახდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ , აშშ-მა, იაპონიამ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა მოახდინეს ლიბერალური ეკონომიკური წესრიგის რესტავრაცია. კომუნისტური ქვეყნები კი კვლავინდებურად ატარებდნენ ავტოკრატიისა და იზოლაციონიზმის პოლიტიკას და მხოლოდ საბჭოთა იმპერიის დაშლის, ჩინეთის ეკონომიკის გახსნის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ ბაზრების ლიბერალიზაციის შემდეგ, შესაძლებელი გახდა გლობალიზაციის ხელმეორედ დაბადება.

გლობალიზაცია, როგორც ერთიანი სისტემა , შეიძლება დაიყოს რამოდენიმე სახედ: ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური ანუ ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია, პოლიტიკური, ფინანსური ანუ ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია, პოლიტიკური, ინფორმაციული, ეკოლოგიური პრობლემების, დამნაშავეობის, ტერორიზმის და მის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალიზაცია. არსებობს განსხვავება გლობალიზაციის მოცემული სახეების განვითარების ტემპებში, რაც ამ პროცესს სირთულეს მატებს. გლობალიზაციის მრავალ სახეობას შორის ყველაზე სწრაფი ტემპით ვითარდება ფინანსური გლობალიზაცია, რომლის ობიექტურ საფუძველს წარმოების და კაპიტალის მოძრაობის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ფინანსური გლობალიზაცია არის გლობალიზაციის დანარჩენი სახეების საფუძველი.

გლობალიზაციის პროცესი აჩქარებს ეკონომიკურ ცვლილებებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, მოგეხსენებათ, რომ ბიზნესი მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა თანამედროვე მსოფლიოში, მისი უსაფრთხოება კი ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბიზნესის როლის ზრდა მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას და მოთხოვნადობას, შესაბამისად მისი უსაფრთხოების

უზრუნველყოფა სულ უფრო და უფრო აქტუალური თემა ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, კომპანიებისთვის და სახემწიფოსთვის.

ბიზნესის უსაფრთხოების პრობლემა ადრე თუ გვიან დგება ნებისმიერი ორგანიზაციის თუ კომპანიის წინაშე, მიუხედავად იმისა რას საქმიანობს ეს კომპანია და რამდენი ადამიანი მუშაობს მასში. პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა გზა არსებობს, სადღაც პრობლემას წყვიტავს კომპანიის მესაკუთრე ან გენერალური დირექტორი, შესაძლოა სპეციალურად ამ სფეროში ნასწავლმა ადამიანებმა ან სპეციალურმა სამსახურებმა გადაწყვიტონ კომპანიის წინაშე წარმოქმნილი ესა თუ ის უსაფრთხოების საკითხები, ზოგადად უსაფრთხოების პრობლემის მოგვარების სპეციფიკა დამოკიდებულია იმაზე თუ რას საქმიანობს კომპანია - იქნება ეს ფინანსების სფერო თუ წარმოება.

გამოცდილებიდან არის ცნობილი რომ კომპანიები მხოლოდ მას შემდგომ იწყებენ ფიქრს უსაფრთხოების პრობლემაზე, როდესაც პრობლემები მათ წინაშე დგას და მოხდა ფინანსური დანაკარგები. თუმცა ამის თავიდან აცილება შესაძლებელია და საჭიროც არის.

ჩვენს მიერ განხილულ თემაში ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად უსაფრთხოების ნორმების არსებობის და დაცვისა, ბიზნესის უსაფრთოების პრობლემების წინაშე მაინც დგას არაერთი კომპანია, რა ღონისძიებებია ჩასატარებელი იმისთვის რომ ამ პრობლემის წინაშე აღარ ვიდგეთ? ეფრქტური უსაფრთხოების სისტემის შექმნას კომპანიაში, როგორც წესი ხელს უშლის დაბალი განათლების დონე თანამშრომლებისა ამ საკითხში, ასევე პროფესიონალური კადრების დეფიციტი, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად გამართონ უსაფრთხოების სისტემა კომპანიაში, ხელის შემშლელი ფაქტორი ასევე შეიძლება იყოს პრაქტიკული გამოცდილების არქონა მომსახურების ამ სფეროში, არ არსებობა საჭირო ლიტერატურის და სასწავლო დაწესებულებების, რომლებიც მოამზადებენ სპეციალისტებს შესაბამისი განათლებით.

დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში უსაფრთხოების უზრუნველმყოფ სახელწიფო ინსტიტუტებთან ერთად არსებობს არასახელმწიფო ინსტიტუტები: კერძო სამძებრო და დეტექტიური ორგანიზაციები, საინფორმაციო სააგენტოები, სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო დაწესებულებები, რომლებიც შესაბამისი

ანაზღაურების საფუძველზე აწარმოებენ სხვადასხვა მომსახურებას: ობიექტის კომერციული საიდუმლოების დაცვას, კონკურენტებისა და კონტრაქტის დამდები პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს, არასაიმედო პარტნიორების გამოვლენას და სხვა. მსოფლიო გამოცდილებით სწორედ არასახელმწიფო ორგანიზაციებზე მოდის ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი დატვირთვა. მაგალითად, აშშ-ში კერძო უსაფრთხოების სტრუქტურების საერთო ბიუჯეტი 50%-ით მეტია სახელმწიფო პოლიციის ბიუჯეტზე. ინგლისში კერძო უსაფრთხოების სტრუქტურებში დასაქმებულების რაოდენობა 2-ჯერ აღემატება სახელმწიფო პოლიციის თანამშრომლების რაოდენობას. 5 მილიონიანი მოსახლეობის ისრაელში არის 2 ათასი კერძო დეტექტივური და დაცვითი კომპანია.

ბიზნეს უსაფრთოებისთვის საჭიროა სახელმწიფო და კერძო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების სამართლებრივი დარეგულირება, კომპეტენციის, უფლებებისა და მოვალეობების საკანონმდებლო გამიჯვნა. არაა მიღებული კანონები კერძო დეტექტივის, კომერციული და ამსახურებრივი საიდუმლოების შესახებ. არ არსეობს ახალ სპეციალობაზე სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი, ჩვენს რეალობას მისადაგებული სამეცნიერო სკოლა და მეთოდოლოგიური ბაზა.

უნდა შეიქმას სპეციალური სამეცნიერო ცენტრი, სადაც ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით დამუშავდება ახალი სამეცნიერო-მეთოდური მიდგომები კერძო უსაფრთხოების პრობლემებზე. უკვე დღის წესრიგში დგას და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება ამ სფეროს საჭირო კადრებით უზრუნველყოფის პრობლემა. საზღვარგარეთ არსებობს მდიდარი გამოცდილება, ისინი აღჭურვილნი არიან დახვეწილი სასწავლო პროგრამებითა და მეთოდური გეგმებით. საჭირო სპეც ლიტერატურითა და ტექნიკური საშუალებებით, სასწავლებლის კურსანტები გადიან პრაქტიკას კერძო ობიექტებზე და სხვა.

წარმატებული მოღვაწეობისთვის თითოეული ობიექტი მიმართავს სპეციალურ ღონისძიებებს საკუთარი ბიზნესის გარე და შიგა საფრთხეებისგან დასაცავად. კონკრეტული ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების მიხედვით, არსებული საფრთხეების შესაბამისად, უნდა განისაზღვროს უსაფრთხოების მიზნები და ამოცანები. თითოეული ობიექტის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით დამუშავდეს და დაინერგოს უსაფრთხოების

უზრუნველყოფის კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ, რეჟიმულ, ტექნიკურ, ინფორმაციულ და სხვა ღონისძიებათა სპექტრს. უნდა შეიქმნას უსაფრთხოების სპეციალური სამსახური რომელიც დაემორჩილება მხოლოდ ტოპ მენეჯერს. მისი სტრუქტურა და თანამშრომლების რაოდენობა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ბიზნეს ობიექტის მასშტაბებზე, მეორე მხრივ, კი შესასრულებები სამუშაოს სირთულეზე. მაგალითად მოსაპოვებელი ან დასაცავი ინფორმაციის კონფიდენციალურობის ხარისხზე. შესაბამისად, კონკრეტული ობიექტის უსაფრთხოების სამსახური შეიძლება შედგებოდეს დაწყებული შეთავსებით მომუშავე 2-3 თანამშრომლით, დამთავრებული რამდენიმე დანაყოფისაგან შემდგარი სრულყოფილი სამსახურით. დასავლეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებით საშუალო მასშტაბის ფირმის უსაფრთხოების სამსახური ძირითადად შედგება 4 დანაყოფისაგან: 1. დაცვის; 2. ოპერატიული; 3.ინფორმაციულ-ანალიტიკური; 4.ტექნიკური.

როგორც უკვე ვთქვით, ბიზნესის უსაფრთხოება საკმაოდ ვრცელი და მნიშვნელოვანი თემაა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში ბოლო პერიოდში შედარებით მეტი ყურადღება ექცევა, შეიძლება ითქვას, სათანადოდ არაა დაცული, არადა გლობალიზაციის პროცესში, როცა ასე მნიშვნელოვანია ბიზნესი და მისი როლი, მისი უსაფრთხოება არ შეიძლება იყოს უმნიშვნელო. საქართველოში მსგავსი კვლევები ინტერნეტ სივრცეებში არ არსებობს, ქართულ ენაზე. ამიტომ კვლევის პერსპექტივად, შემდგომ საკველ საკითხად, შეიძლება განვიხილოთ ბიზნესის უსაფრთხოება საქართველოში და ვიკვლიოთ სხვადასხვა კოკმპანიები, ქართული თუ უცხოური, რომლებიც აწარმოებენ ბიზნესს საქართველოში და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ შრომით ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე ლ., "თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 2015
2. ბიზნესის სამართალი (სახელმძღვანელო) ზაურ ამილახვარი, გიორგი ამილახვარი, ნინო წერეთელი საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი თბ. 2010
3. ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის კომიტეტის მასალები. თბილისი. 2004 წ.
4. თ.ბურდული,ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში:გზაშოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე თბ. 2015
5. მესხია ი, ,,საერთაშორისო ვაჭრობა" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.თბ 2011
6. ვაჭრობის მსოფლიო ორგანზიაცია და საქართველო – საინფორმაციო ცნობარი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2002 წ
7. კრუგმანი პ., საერთაშორისო ეკონომიკა : თეორია და პოლიტიკა [ინგლ. თარგმნ.: თბ. : ცისარტყელა: 2000
8. ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი : პოლიტიკა, თეორია, პრაქტიკა. თბ. : ტექნ. უნ-ტი, 2005.
9. ოქროცვარიძე ა.,საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. დამხმარე სახელმძღვანელო თბ. - 2009
10. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები დამხმარე სახელმძღვანელო (ავტორთა კოლექტივი) თბ. 2009
11. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები - თეორია და პრაქტიკა - "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" ბათუმი 2008
12. საერთაშორისო ბიზნესი (ლექციების კურსი) "უნივერსალი".რედ:თეიმურაზ შენგელაია. თბ. 2011
13. ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცევლი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო 2014
14. მელქაძე. ქ.DCFTA-ის პირდაპირი ეფექტები ევროკავშირის ქვეყნებში ქართული ღვინის ექსპორტის ზრდაში გამოვლინდა(09 თებერვალი 2017))

15. სტატისტიკური ბიულეტენი: საქ. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1995-1998 წლებში; საქ. ეკონ. და სოც. განვითარების ინდიკატური გეგმა
16. Ecorys. ვაჭრობის მდგრადობის ზეგავლენის შეფასება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებათა წარმართვის მხარდაჭერის მიზნით ევროკავშირს, საქართველოსა და მოლდოვას შორის, 2012 წ.
17. ჯოლია. გ., საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირება : პოლიტიკა-თეორია-პრაქტიკა . 2004
18. ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები : [სახელმძღვ.] თბ. : [ტექნ. უნ-ტი], 2007
19. Robok S.H., Simmonds K. International Business. How Big is it?, 1973, N4 P.91H.
20. Васильев, Договорное право в международном обороте, 2002
21. В. Попондопуло, Международное коммерческое право. 2004
22. Ecorys & CASE 2012, pp. A13-A14; A70; A101
23. Delegation of the European Union to Georgia 2012
24. http://trade. ec.europa.eu/doclib/docs/2012/november/tradoc_150105.pdf. Prospects of DCFTA between Georgia and the EU. www.easternpartnership.org
25. http://eugeorgia.info/ka/article/560/dcfta-is-pirdapiri-efeqtebi-evrokavshirisqveynebshi-qartuli-gvinis-eqsportis-zrdashi-gamovlinda/ (გადამოწმებული, 14.05.2017
26. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საგარეო ვაჭრობა.
27. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=136&lang=geo
28. http:http://www.economy.ge/upload-file/pdf/trade%20turnover-%202011.pdf
29. https://www.wto.org/
30. www.tradewithgeorgia.com
31. http://www.delgeo.ec.europa.eu/ge
32. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო http://www.economy.ge/
33. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური http://www.statistics.ge/
34. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://www.mfa.gov.